№47
(10958)
დეკემბერი. 1995 წ.
დღევანდელი ნომერი ექვსგვერდიანია • ფასი 40 თეთრი
გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ჭადრაკი • მსოფლიო ჩემპიონატის ექო

# „ოქროს ბიჭები" ჭადრაკშიც გვყავს

26 წლამდე მოჭადრაკეთა მსოფლიო გუნდური ჩემპიონატი ორ წელიწადში ერთხელ იმართება. ამჯერად რიგით მეოთხე ასპარეზობას ბრაზილიამ (ქ. პარნაიბა) უმასპინძლა. საქართველოდან, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნიდან, ამ ჩემპიონატში გუნდი პირველად წარსდგა და მერე როგორ... ჩემპიონობა მოიპოვა.

შეჯიბრებიდან დაბრუნების შემდეგ რედაქციაში მოვიწვიეთ ეროვნული ნაკრების კაპიტანი ალექსანდრე დგებუაძე და გუნდის წევრი კახა შალამბერიძე.

● თავდაპირველად „ლელოს" მკითხველებს გავაცნოთ ნაკრების შემადგენლობა.

ა. დგებუაძე: ჩემპიონატის დებულება გუნდის სრულ შემადგენლობაში 6 მოჭადრაკის მონაწილეობას ითვალისწინებდა — 4 ძირითადი და 2 სათადარიგო. ჩვენ ხუთი მონაწილით გავემგზავრეთ (4+1).

● ეს ვიცით, მოკლე ინფორმაცია ადრე ვაუწყეთ მკითხველებს, ვიცით ისიც, რომ მეექვსე მოჭადრაკისთვის სახსრები არ გამოინახა. ვინ დააფინანსა გუნდი?

— სახსრები მთლიანად გაიღო სპორტის დეპარტამენტმა და ფედერაციამ. სპონსორი რომ გამოგვჩენოდა, თუნდაც იმ ერთისთვის, ცხადია, აჯობებდა.

● რა იმედით მიემგზავრებოდით ჩემპიონატზე?

— შემადგენლობა ცუდი არ იყო. თავად განსაჯეთ: პირველ დაფაზე გამოდიოდა საერთაშორისო ოსტატი, ოლიმპიური ნაკრების წევრი ხვიჩა სუპატაშვილი, მეორეზე — გიორგი ყაჭეიშვილი, საერთაშორისო ოსტატი, ევროპის ჩემპიონატის მონაწილე. აქვე გეტყვით: იგი ჯერ თვრამეტი წლისაა, უაღრესად პერსპექტიული მოჭადრაკეა. გიორგი ბრაზილიაში დარჩა 20 წლამდე მოჭადრაკეთა მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად. მესამე დაფაზე მე გამოვდიოდი.

● ბარემ თქვენი ტიტულებიც გაგვაცანით...

— ვარ საერთაშორისო ოსტატი, 1995 წლის მსოფლიო უნივერსიადის გუნდურ პირველობაში გამარჯვებული. ამ გუნდში გამოდიოდა რომან სიჭინავა, რომელიც ახლა მეოთხე დაფაზე თამაშობდა.

● სათადარიგო მოთამაშის ფუნქცია რაში გამოიხატებოდა?

— სათადარიგოდ წავიყვანეთ სპორტის ოსტატი კახა შალამბერიძე, 1993 წლის საქართველოს ჩემპიონი. საერთოდ, იცით, სათადარიგომ შეიძლება შეცვა-

იხ. მე-2 გვ.

წლის საუკეთესო სპორტსმენები, გუნდები

## წარმოგიდგენთ კანდიდატებს

### ივანე გამხიტაშვილი

(სამბო)



დაიბადა 1973 წლის 13 ივლისს
კასპის რაიონის სოფელ სამთავისში
სპორტსაზოგადოება „შევარდენი"
დაამთავრა თსუ, ეკონომიკური ფაკულტეტი
სიმაღლე — 180 სმ, წონა 90 კგ.
მწვრთნელები — ლავრენტი კაციაშვილი და ნუგზარ ხუციშვილი
სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1984 წელს შოთა კაციაშვილთან
პირველ წარმატებას მიაღწია ქართულ ჭიდაობაში. იმავე წელს — ჭაბუკთა რესპუბლიკურ პირველობაში დაიკავა I ადგილი.
უმაღლესი მიღწევები: 1989 წ. — ჭაბუკებში სსრ კავშირისა და მსოფლიო ჩემპიონი სამბოში; 1990 წ. — სსრკ ჩემპიონატში II ადგილი; 1991 წ. — მსოფლიოს პირველობის მეორე, დიდებში მესამე პრიზიორი; 1992 წ. — ევროპის ჩემპიონი და მსოფლიო პირველობის III პრიზიორი (ახალგაზრდებში); 1993 წ. — ევროპის მეორე პრიზიორი ახალგაზრდებში, შემდეგ დიდებში, მსოფლიო პირველობის მესამე პრიზიორი დიდებში; 1994 წ. — ევროპის პირველობის მეორე პრიზიორი დიდებში, მსოფლიო პირველობაზე — III ადგილი, მსოფლიო თასზე — II, საქართველოს აბსოლუტური ფალავანი ქართულ ჭიდაობაში; 1995 წ. — ევროპის პირველობა — II, მსოფლიოს პირველობა — II. საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი.

● ქართული ჭიდაობიდან სამბოში — რთულია ასეთი „გადართვა"?

— სამბო ჩვენი ეროვნული ჭიდაობის მეტი წილი ილეთების გამოყენებით ჩამოყალიბდა. ასე რომ, გადართვა არ გამჭირვებია.

● წლეულს თქვენ მეორე იყავით ევროპაშიც და მსოფლიოშიც, შეგეძლოთ თუ არა მეტის მიღწევა?

— ორივეგან ჩემი ძირითადი მეტოქე იყო რუსი სერგეი ლაპავსკი. ორივე-

იხილეთ მე-3 გვერდი

### საქართველოს ეროვნული ნაკრები [illegible]

ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი საქართველოს ეროვნული ნაკრებისათვის მკაცრი და ობიექტური გამოცდის ასპარეზი იყო. სტარტი ამ ტურნირმა ჯერ კიდევ შარშან, 7 სექტემბერს აიღო, მაგრამ მთავარი მოვლენები წლეულს განვითარდა და საბოლოო სახე 15 ნოემბერს მიიღო. თუმცა, ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მონაწილეთა ვინაობა VII შესარჩევ ჯგუფში, კარგა ხნით ადრე იყო გარკვეული და ჩვენი ეროვნული ნაკრები უფრო პრესტიჟის დამკვიდრებისათვის იბრძოდა, ვიდრე რეალური შედეგისათვის.

როგორ უნდა შეფასდეს საქართველოს გუნდის გამოსვლა ჩემპიონატის ამ ეტაპზე? ყველა ობიექტური და სუბიექტური მიზეზის გათვალისწინებით, შედეგითა და თამაშის ხარისხით, მხოლოდ დადებითად. შეეძლო თუ არა ჩვენს ნაკრებს უკეთ გამოსვლა? ალბათ შეეძლო, ცალკეულ შეხვედრებში კი ვალდებულიც იყო, ოღონდ საერთო სურათს ეს მაინც არ შეცვლიდა. როცა VII შესარჩევი ჯგუფის საბოლოო შედეგებზე ვსაუბრობთ, ერთი რამ უნდა გვახსოვდეს: ამ ჯგუფში გამოდიოდნენ

იხილეთ მე-3 გვერდი

1995 წლის 15 დეკემბერს თბილისის მძლეოსნობის სასახლეში გაიმართება საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება „შევარდენის" III ყრილობა. დასაწყისი 13 საათზე.

სპორტსაზოგადოება „შევარდენის" რესპუბლიკური საბჭო.

### მილოცვა

საქართველოს სპორტის დეპარტამენტი და ჭიდაობის ფედერაცია დაბადებიდან 65 წლისთავს ულოცავენ საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებულ მწვრთნელს მარლენ ოსეფაშვილს.

### ვ. გაზაევი კახი ცხადაძის გადაბირებას ცდილობს

გაზეთ „სპორტ-ექსპრესის" კორესპონდენტი ეფიმ შაინსკი გერმანიაში შეხვდა ვლადიკავკაზის „სპარტაკ-ალანიას" მთავარ მწვრთნელს ვალერი გაზაევს, რომელმაც განაცხადა, რომ რახან მის კლუბს გაისად ჩემპიონტთა ლიგაში მოუწევს გამოსვლა, განზრახული აქვს გააძლიეროს გუნდი და მიიწვიოს ახალი ფეხბურთელები, კერძოდ, ცენტრალური მცველი კახი ცხადაძე — ფრანკფურტის „აინტრახტიდან".

ვ. გაზაევმა ისიც თქვა, რომ შინ დაბრუნებისას მას სხვა სასიამოვნო საქმეებიც ელის: ორი ქორწილი — მიხეილ ყაველაშვილის და ომარ თეთრაძისა.



9 ძმის ქუჩა მალაკნების ბაზართან იმთავითვე კარგი ფეხბურთელებით იყო ცნობილი. სწორედ აქ ცხოვრობდა სახელგანთქმული ოსტატი, ძველი ფორვარდი, ომამდელი გუნდის მარჯვენა გარემარბი მიხაილ ბოლოტინი, უშრეტი ენერგიის და სისწრაფისათვის მთელი თბილისი „პაროვოზას" სახელით რომ იცნობდა. ამ ქუჩის მკვიდრნი იყვნენ აგრეთვე ძველი თბილისის „ლოკომოტივის" ცნობილი მცველი სურენ აკოფოვი და ამავე გუნდის მარცხენა გარემარბი სერგო ბოიაჯანი. 9 ძმის ქუჩაზე აიდგა ფეხი და საყვარელ თამაშს ეზიარა თბილისის „დინამოს" ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ფეხბურთელი, შესანიშნავი მცველი ვლადიმერ ელოშვილიც. სწორედ მასთან შეხვედრას ვთავაზობთ დღეს ჩვენს მკითხველს.

იხ. მე-2-5 გვ.

### 1000-1000 დოლარი ქველმოქმედებისათვის

როგორც ვიუწყებოდით, თემურ ქეცბაია და გიორგი ქინქლაძე კომპანია „ევროკარდ-მასტერკარდმა" ევროპის 50 საუკეთესო ფეხბურთელის სიაში შეიყვანა. კონკურსში მონაწილეობა მიიღო კონტინენტის 25-მა ქვეყანამ. ყოფილი საბჭოთა კავშირი ამ ღონისძიებაში წარმოდგენილი იყო რუსეთით, საქართველოთი და ლიტვით. სპეციალურმა ჟიურიმ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის შედეგების მიხედვით, რუსეთის ნაკრებში შეარჩია ვიქტორ ონოპკო და ვასილ კულკოვი, ლიტვის გუნდში კი ვალდას ივანაუსკასი და გინტარას სტაუჩე. მაგრამ კონკურსი ამით არ დამთავრებულა.

მეორე ეტაპზე მოხდება ამ 25 ნაკრები გუნდიდან თითო საუკეთესო ფეხბურთელის დასახელება. გამარჯვებულებს გადაეცემათ ათას-ათასი დოლარი... საქველმოქმედო მიზნებისათვის. საუკეთესოთა შერჩევა განხორციელდება სპეციალური ჟიურის ხელმძღვანელობით, რომლებშიც შევიდნენ ლეგენდარული ინგლისელი ფეხბურთელი ბობი ჩარლტონი, აგრეთვე, „ევროკარდ-მასტერკარდში" გაერთიანებული მსხვილი საფეხბურთო გამოცემების მთავარი რედაქტორები (გერმანული „კიკერი", იტალიის „ლა გაძეტა დელა სპორტი", „პორტუგალიის „ბოლა", ჰოლანდიის „ფუტბალ ინტერნაციონალი", ინგლისის „უორლდ სოკერი", ფრანგული „მონდიალი", შვეიცარიის „სპორტი", ესპანეთის „ბალონი" და ბელგიის „ფუტ მეგაზინი").

კონტინენტის 25 საუკეთესო ფეხბურთელის სიას წარმოადგენს ბობი ჩარლტონი 17 დეკემბერს ბირმინჰემში, ევროპის ჩემპიონატის ფინალური ასპარეზობის კენჭისყრის ცერემონიალის წინ.

### ფეხბურთში საქართველოს თასის გათამაშების მეოთხედფინალური შეხვედრების წილისყრის შედეგად მეტოქეები ასე დაწყვილდნენ:

„დილა" — „დინამო" თბ.
შსს აკადემია — „დინამო" ბთ.
„ტორპედო" — „სამტრედია"
„კოლხეთი-1913" — „მარგვეთი"

ეს მატჩები გაიმართება მერმისს, გაზაფხულზე.



ფიდეს ახალი პრეზიდენტი კირსან ილიუმჟინოვი

კალათბურთელ ვაჟთა V ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრის დასკვნითი ტურის ბოლო შეხვედრების შედეგები:

„კაკტუსი" — „შევარდენი" 72:55; „კოლხა" — სდასუ 59;75; „ვითა" — „დინამო" 86:67; „შევარდენი" — „კოლხა" 76:62; სდასუ — „მაკაბი-ინტერი" 74:69; „ქიმიკოსი" — „ვითა" 66:83.

ასპარეზობას 20 ქულით ლიდერობს „ვითა", მეორე ადგილზეა „დინამო" (19 ქულა), მესამეზე „კაკტუსი" (18), პირველ ექვსეულში არიან — „ქიმიკოსი" (17), სდასუ (16), „მაკაბი-ინტერი" (15).

ჩემპიონატი განახლდება მერმისს, გაზაფხულზე.

საქართველოს სპორტის დეპარტამენტი და ჭიდაობის ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოსა და ყოფილი სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, რესპუბლიკის ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი

ილია ჩხარტიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ გასვენებულის ოჯახს.



## ვის როგორ უყვარს ტაისონი?

იხ. მე-4 გვ.

# „ოქროს ბიჭები“ ჭადრაკშიც გვყავს

(პირველი გვერდიდან)

ლოს ნებისმიერი მოჭადრაკე. ვთქვათ, საჭირო გახდა მეორე დაფაზე მოთამაშის შეცვლა. ამ შემთხვევაში მესამე დაფაზე მოთამაშე მიუჯდება მეორე დაფას, მეოთხე — მესამეს, სათადარიგო — მეოთხეს და ა. შ. შეიძლება ორივე სათადარიგომ ერთდროულად, ამავე პრინციპით შეცვალოს თავისი გუნდის სხვა წევრები. ზოგჯერ, შეცვლა ტაქტიკური თვალსაზრისითაც ხდება, მაგალითად, ვინც უკეთ თამაშობს შავებით, შედარებით კარგად იცნობს მეტოქის რეპერტუარს... ერთი სიტყვით, მეტოქემ არ იცის ხვალ ვის ეთამაშება. ხშირად ხდება: თუ თამაში კარგად წაუვიდა, სათადარიგო ცვლის ძირითად მოთამაშეს.

● **კახა, რამდენჯერ მოგიწიათ შეცვლაზე თამაში?**

— ოთხჯერ.

● **როგორ დამთავრდა თქვენი პარტიები?**

— ოთხიდან სამი პარტია მოვიგე, ერთიც ყაიმით დავამთავრე. ფაქტობრივად, სათადარიგოთა შორის პირველი ადგილი დავიკავე — 4 შესაძლებლიდან 3,5 ქულა. მე მხოლოდ მეოთხე დაფაზე ვითამაშე, სხვა დაფაზე, წესით, ვერც ვითამაშებდი.

● **ჩვენი ნაკრების დანარჩენ მონაწილეთა შედეგებზე რას გვეტყვით?**

ა. დგებუაძე: — ხვიჩა სუპატაშვილმა 6-დან 4 ქულა აიღო, ერთ პარტიაში დაისვენა. დავძენ, რომ შეჯიბრება შვეიცარიული სისტემით ჩატარდა — 7 ტურად. მონაწილეობდა 22 ქვეყანა. თავის დაფაზე ხვიჩა მესამე იყო.

გიორგი ყაჭეიშვილს არ დაუსვენია — 7 პარტიიდან 5 ქულა მოაგროვა და მეორე ადგილი დაიკავა, მე ერთხელ დავისვენე და 6-დან 5,5 ქულა დავაგროვე, რამაც მესამე დაფაზე პირველი ადგილის განაღდების შესაძლებლობა მომცა. რომან სიჭინავამ 5-დან 4 ქულა აიღო, ისიც პირველი იყო თავის დაფაზე.

● **რას ნიშნავს დაფაზე გამარჯვება ან საპრიზო ადგილის დაკავება. უკეთ რომ ვთქვათ, ოფიციალურად როგორ ფიქსირდებოდა?**

— ყველა დაფაზე პირად პირველობაში თამაშდებოდა მედლები. ასე რომ, ჩვენგან უმედლოდ არავინ დარჩენილა — ოქროს სამი, ვერცხლისა და ბრინჯაოს თითო მედალი, ცხადია, ურიგო შედეგი არაა.

● **და ამას უნდა დავუმატოთ მთავარი — გუნდურ შეჯიბრებაში მსოფლიო ჩემპიონობა!**

— ცხადია.

● **უახლოეს ხანებში საით გასწევენ ჩემპიონები?**

— შეჯიბრებები და მიწვევა უამრავია. მთავარია, სახსრები იყოს გასამგზავრებლად. ისე, უახლოესი შეჯიბრება საერთაშორისო საშობაო ტურნირია, რომელიც 21 დეკემბერს დაიწყება ჰოლანდიაში. გაისად კი მე და რომან სიჭინავა მსოფლიო უნივერსიადაში გამოვალთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით, მაგრამ... ყველაფერი ისევ და ისევ დაკავშირებული იქნება დაფინანსებასთან.

ესაუბრა

**თენგიზ თომაშვილი**

## ბუღალტრებო, ყურადღება!

სპორტულ ორგანიზაციებს ვაცნობებთ, რომ მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 1 ნოემბერის № 701 დადგენილებით (ძალაში შევიდა იმავე დღიდან), საბიუჯეტო ორგანიზაციებში შრომის ანაზღაურება, აგრეთვე პენსიები იზრდება 50-60 პროცენტით.

მინიმალური ხელფასი აღარ არსებობს. ანაზღაურება ხდება თანამდებობრივი განაკვეთებისა და თანრიგების მიხედვით. სულ 22 ასეთი თანრიგია. 1 თანრიგი — 6 ლარი, ყველაზე მაღალი (22-ე) — 25 ლარი. დახმარება მარტოხელა დედებისათვის თითოეულ შვილზე თვეში 2 ლარია, ორ და მეტ შვილიანი (16 წლამდე) ოჯახები კვლავ მხოლოდ ერთ შვილზე მიიღებენ 2 ლარს, სოფლად — ერთ ლარს. საბიუჯეტო ორგანიზაციებში შვებულებისა და საავადმყოფო ფურცლის გაანგარიშება 1995 წლის 1 ნოემბრიდან ხორციელდება ახალი თანამდებობრივი განაკვეთებით.

ფიზიკურ პირებს საშემოსავლო გადასახადი ძირითად სამუშაოზე მხოლოდ 6 ლარს ზევით.

## პრეზიდენტები სპორტში

# პრიმო ნებიოლო



**თანამედროვე სპორტულ მსოფლიოში იშვიათად შეხვდებით ისეთ მოღვაწეს, როგორიცაა პრიმო ნებიოლო. სპორტის, განსაკუთრებით მძლეოსნობის ავტორიტეტის ამაღლებაში და იმაშიც, რომ დღეს ეს სახეობა მთელს პლანეტაზე ყველაზე მასობრივია, ბევრგან კი პოპულარობით ფეხბურთს და კალათბურთსაც აჭარბებს, დიდია ამ კაცის დამსახურება.**

პრიმო ნებიოლო! — სპორტისთვის ჭეშმარიტად გულანთებული პიროვნება, შესანიშნავი ორგანიზატორი და რეფორმატორი, მილიონობით სპორტსმენისა და სპეციალისტის გულისხმიერი მეგობარი. სწორედ ამ ღირსებათა გამო, იგი ერთადერთი გამორჩეული ადამიანია მსოფლიო სპორტის ელიტაში, რომელსაც ყველა თავისკენ „ექაჩება“ და მაღალ პოსტებს სთავაზობენ. მისი ენერგიული მეცადინეობით და ხელდასმით შეიქმნა საუნივერსიტეტო სპორტის საერთაშორისო ფედერაცია (ფისუ), გახდა მისი პირველი პრეზიდენტი, ამასთან, არის თავისი ქვეყნის — იტალიის მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი და, რაც ყველაზე მთავარია, მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის (იაafი) პირველი პირი, სოკის წევრი.

იაafმა, როგორც ამ ორგანიზაციის ყველაზე გავლენიან პირებს არაერთხელ აღუნიშნავთ, ნებიოლოს თავკაცობით ამოისუნთქა, „სპორტის დედოფალი“ თავაწეული დაابიჯებს მთელს პლანეტაზე თავის წევრთა 130 მილიონამდე არმიით. მძლეოსნობა ამ ბოლო 15 წლის მანძილზე, მას შემდეგ, რაც მის სათავეში ნებიოლო მოვიდა, ბევრისთვის გასაკვირად, ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ და შემოსავლიან სანახაობად იქცა. იაafის პრეზიდენტის სახელთანაა დაკავშირებული მძლეოსნობაში მსოფლიო თასის გათამაშება და მსოფლიო ჩემპიონატების ჩატარების დამკვიდრება. გარდა ამისა, იმართება იუნიორთა ჩემპიონატები, მსოფლიო ჩემპიონატები დახურულ დარბაზებში... საერთოდ, დღეს იაafის კალენდარში 100-ზე მეტი ღონისძიება შედის. არადა, არცთუ შორეულ წარსულში, მძლეოსანთა ასპარეზობის არეალი მხოლოდ რეგიონალური და ოლიმპიური ასპარეზობებით შემოიფარგლებოდა. იაafი არენიდან უკვე სამუდამოდ წასულ სპორტსმენებსაც არ სტოვებს უყურადღებოდ.

ფედერაციის შემოსავლის ძირითად წყაროდ იქცა ხალხმრავალი სტადიონები, რეკლამა და კომერციული საქმიანობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო წესებს და ოლიმპიურ ქარტიას.

იაafმა თავის კონტროლს დაუქვემდებარა კომერციული ტურნირებიც [illegible] მონაწილეობით ყველა გახმაურებული ასპარეზობა, რითაც მძლეოსნობა „ხელიდან გამოგლიჯა“ კომერსანტებს, ყოველ შემთხვევაში, წესრიგი მაინც დაამყარა, გზა გადაუღობა ქაოსს და თვითნებობას, ათლეტებისთვის კი თავიანთი ქვეყნისა და კლუბების ღირსების დაცვა კვლავ მთავარ ამოცანად იქცა. მაგრამ ეს ყველაფერი არ გაკეთებულა სპორტსმენთა უფლებებისა და შემოსავლების დაკარგვის ხარჯზე, პირიქით...

ნებიოლომ პირველმა დაიწყო უმნიშვნელოვანესი საკითხების იაafის კონგრესებზე უშუალოდ ცნობილი სპორტსმენების მონაწილეობით განხილვა, რითაც სხვა ფედერაციებსაც კარგი მაგალითი მისცა და ათლეტების ინტერესების დაცვისადმი ახლებური მიდგომაც დაამკვიდრა.

ნებიოლო ახლა 72 წლისაა, მსხვილ ბიზნესშიც მოღვაწეობს და თავის გარშემო ასევე მილიონერები, ცნობილი ბიზნესმენები შემოიკრიბა. ნებიოლოს ცხოვრებისეული პრინციპია საქმით და არა სიტყვით თანადგომა. იგი არაფერს იშურებს, ცხადია, ფინანსებსაც, თუკი დაჯერებულია, რომ ამა თუ იმ ქვეყანაში „სპორტის დედოფალს“ პატივს სცემენ, მაგრამ ახალგაზრდობას ფინანსური პრობლემების გამო უჭირთ დაოსტატება და თავის გამოჩენა მსოფლიო სარბიელზე. ნათქვამის საილუსტრაციოდ შორს წასვლა არ გვინდა. მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა და იაafის პრეზიდენტი დაწვრილებით გაეცნო ჩვენს წვლილს მძლეოსნობის საერთაშორისო სამყაროში, განსაკუთრებით ოლიმპიურ თამაშებში, ყურადღება არ დააკლია ჩვენი ეროვნული ფედერაციისათვის. მარტო იმის თქმა რად ღირს, რომ ჩვენმა ფედერაციამ მისი განკარგულებით 40 ათასი დოლარი მიიღო იაafისგან, თბილისში, ვაკის მძლეოსნობის მანეჟის საჭიროებისათვის.

ნებიოლო გამუდმებით ეძიებს ფედერაციებთან თანამშრომლობის ახალ გზებს და წარმატებითაც. ბევრ ქვეყანაში მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების სიჭარბეა, ბევრგან ისინი ან არ ჰყოფნით ან საერთოდ არ არიან. მათი გადანაწილება იაafის პრეზიდენტმა თავის თავზე აიღო. ასე წამოვიდა ახალი ტალანტები აფრიკიდან, აზიიდან, ლათინური ამერიკიდან, აღმოსავლეთ არაბეთის ქვეყნებიდან. მისი ყურადღება ამჟამად აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისკენაა მიპყრობილი.

ნებიოლოს ავტორიტეტი განუხრელად იზრდება. ალბათ ამიტომაც, მის სახელს სულ უფრო ხშირად უკავშირებენ სოკის პრეზიდენტის მომავალ არჩევნებს. ის მართლაც ღირსეულია კანდიდატთა შორის. სპორტულ სამყაროს კი ღირსეულთა დაფასება არ ესწავლება.

**თენგიზ გაჩეჩილაძე**

## მკითხველი — გაზეთი

**ჭადრაკით ჩვენში მეტია გატაცებული. კარგია, რომ თქვენი გაზეთი არ ღალატობს ტრადიციას და კვლავ უთმობს ადგილს ჭადრაკს. წამიკითხია და მსმენია, რომ არსებობს მოჭადრაკეთა რეიტინგის დადგენის სისტემა, რომელიც „ელოს სისტემითაა“ ცნობილი. გთხოვთ გვიპასუხოთ, საიდან იღებს ეს სისტემა სათავეს და რა პრინციპებზეა იგი შემუშავებული?**

გიორგი და ინგა მაჭავარიანები

პასუხი: ამერიკელმა სტატისტიკოსმა, პროფესორმა არპად ელომ შეიმუშავა სისტემა, რომელიც კოეფიციენტებში გამოხატავს მოჭადრაკეთა პრაქტიკულ ძალას. ეს სისტემა დაამტკიცა ფიდემ 1970 წელს და ეწოდა მისი გამომგონებლის სახელი.

პრინციპი ასეთია: საწყისი რეიტინგი (ყველაზე დაბალი) მიენიჭება საერთაშორისო ტურნირების ყოველ დებიუტანტს — 2300 ბალი, საერთაშორისო ოსტატი იწყებს 2400-დან, საერთაშორისო დიდოსტატი — 2500-დან, ექსტრა-კლასის დიდოსტატი 2600-დან. ასე რომ, „ელოს“ სისტემა მიითვლის მხოლოდ საერთაშორისო ტურნირებში ნაჩვენებ შედეგებს.

ყოველი ტურნირის წინ მის საშუალო კოეფიციენტს განსაზღვრავენ. ანუ მონაწილეთა კოეფიციენტის ჯამი იყოფა მოჭადრაკეთა რაოდენობაზე. მიღებული კოეფიციენტის სიდიდის მიხედვით ტურნირი იყოფა 1-დან 16 კატეგორიამდე. ყველაზე მაღალია მე-16 კატეგორია.

შეჯიბრების საშუალო კოეფიციენტიდან გამომდინარე, წინდაწინ გამოითვლიან ყოველი მონაწილის მოსალოდნელ შედეგს, რაც თუ გამართლდა, „სტატუს-კვო“ შენარჩუნებულია. გადამეტებაზე მოჭადრაკეს რეიტინგი ემატება, ნაკლებზე — აკლდება. თითო მოპოვებული ქულა — 10 ერთეული ღირს. პრაქტიკამ დაადასტურა, რომ „ელოს“ სისტემა სადაო მომენტებსაც წარმოშობს. მაგალითად, ჯერ კიდევ ყმაწვილმა გარი კასპაროვმა 1979 წელს ასპარეზობა დაიწყო სულ დაბალი რეიტინგით (2400), მაგრამ ყველა მოლოდინს გადააჭარბა და საერთაშორისო ტურნირში ერთბაშად გაუსწრო... 14 დიდოსტატს.

ვლადიმერ ელოშვილი

# ის „საფეხბურთო ნოკაუტი“ სამხრეთ-აღმოსავლეთი ტრიბუნის წინ...

...შვიდი წლისა თუ იყო ვოვა მაშინ. რომ იტყვიან, ტყავის ბურთს ის-ის იყო ასცილდა სიგრძე-სიმაღლეში, არადა, ბიჭები „ორი გოლის“ თამაშისას არჩევან-არადანში მუდამ მას ირჩევდნენ თავის გუნდში. სწრაფად დარბოდა, მეტოქესაც მუდამ ატყუებდა და გოლებიც გაჰქონდა. შორიახლოს პატარა მოედანი ჰქონდათ და სამ-სამი თუ ოთხ-ოთხი ნორჩისაგან შემდგარი ორი გუნდი ეპაექრებოდა ერთმანეთს იმპროვიზირებულ სტადიონზე. რა ვუყოთ, რომ კარის შტანგებად დიდი ლოდები ჰქონდათ დადებული. ეს ის ხანა იყო, როდესაც ყველა ბიჭს პირზე პაიჭაძის, ჯეჯელავას, დოროხოვის, ბერძენიშვილის, გოგუას სახელი ეკერა.

ერთ დღეს პატარა ვოვა შეუჩნდა პაპამისს, თუ გინდა სკოლაში კარგად ვისწავლო, ნამდვილი ბურთი მიყიდეო, მხოლოდ დედას და მამას არ უთხრა არაფერიო. მოსიყვარულე პაპამ შვილიშვილს ფული მისცა, თან ცოტა მეტი მოუვიდა, ისე რომ ვოვამ... ერთის ნაცვლად ორი ბურთი შეიძინა — წითელი და თეთრი ფერის ზონარიანი „კამერა-ობოლოჩკები“. აბა მატჩები ახლა გენახათ უბანში! ვოვა (ბიჭებმა იგი თავიანთ კაპიტნად აირჩიეს) პაიჭაძესავით თავდასხმის ცენტრში თამაშობდა. წარმოიდგინეთ, უფროსები თამაშის დროს ხშირ-ხშირად იჭერდნენ ხოლმე ხელით სხარტ ბიჭუნას.

ხმა დაირხა უბანში: ლენინის სტადიონზე „შრომითი რეზერვების“ გუნდისათვის მოთამაშეებს არჩევენო. მთელი უბანი წავიდა კონსტიტუციის ქუჩაზე. იქ უკვე ასამდე თანატოლი შეკრებილიყო და ნორჩები ახლა იმედით შეჰყურებდნენ თვალებში ცნობილ მწვრთნელს ანტუს გონელს. დაიწყო სასინჯი ორმხრივი შეხვედრები. მწვრთნელს ნიჭიერი ბიჭების შერჩევაში გუნდის უფროსი ასაკის ფეხბურთელები ეხმარებოდნენ — ავთანდილ პაიჭაძე, მიხეილ ჯოჯუა, გარი გარიშვილი, ამირან ბურჭულაძე.

— ერთ-ერთი შეტევისას მაგარი ბურთი მოვარტყი ძელს და... გონელმა იქვე გამიყვანა თამაშიდან. ცრემლები მომადგა თვალზე, ვერაფერი გამეგო — გვიამბობს ვლადიმერ ელოშვილი — მაგრამ შიში მალე სიხარულმა შეცვალა, მწვრთნელმა ჯერ გვარი მკითხა, შემდეგ დაბადების წელი და იქვე შემომთავაზა, ხვალიდან მასთან ვარჯიშზე მევლო.

ყოველივე ეს 1944 წელს იყო — ვოვა ელოშვილი მაშინ 17 წლისა გახლდათ. თბილისის „შრომითი რეზერვები“ ამავე სპორტსაზოგადოების საკავშირო პირველობისათვის ემზადებოდა. ნიჭიერმა ახალგაზრდობამ მოიყარა თავი: რეზო მახარაძე, კუკური გოგლიძე, ნიკოლოზ თოდრია, კუკური სიხარულიძე. შემდგომში ყველანი ცნობილი ფეხბურთელები გახდნენ,



თბილისი. 1954 წელი. „დინამო“ (თბ) — „სპარტაკი“ (მ) 2-1. მარცხნიდან: ი. სარჯველაძე, ბ. ტატუშინი, ვ. ელოშვილი.

ჩვენი „დინამოს“ მოთამაშეები. თბილისელთა გუნდმა ზედიზედ გაიმარჯვა კიროვოგრადში, ხარკოვში, ოდესაში, ზაპოროჟიეში, მერე მოსკოვში „სტალინეცის“ (დღეს „ლოკომოტივი“) სტადიონზე ნახევარფინალურ მატჩში დაამარცხა ბაქოს გუნდი — 3:2, აი ფინალი კი დაძაბულ ბრძოლაში წააგო 2:3 მოსკოველებთან, რომლებსაც გავრილ კაჩალინი ავარჯიშებდა. შეხვედრის მიწურულში, როცა ანგარიში 2:2 იყო, რ. მახარაძემ ვერ გამოიყენა 11-მეტრიანი დარტყმა, მეტოქემ კი გამარჯვების გოლი გაგვიტანა (სხვათა შორის, თამაშის შემდეგ გ. კაჩალინმა ვ. ელოშვილსა და რ. მახარაძეს წინადადება მისცა მათ გუნდში გადასულიყვნენ, მაგრამ ორივემ უარი განაცხადა). აქვე ვიტყვით, რომ ქართველმა ფეხბურთელებმა ერთი წლის შემდეგ „შრომითი რეზერვების“ საკავშირო ჩემპიონობაც მოიპოვეს — თბილისში დამაჯერებლად მოიგეს ტურნირი, ფინალში 3:1 დაამარცხეს უკრაინის გუნდი.

იმ წელს ვოვა ელოშვილს კიდევ ერთი სიხარული ელოდა — დინამოელთა მწვრთნელმა ანდრო ჟორდანიამ იგი სსრ კავშირის მეორე ნაკრების წინააღმდეგ ათამაშა თავის გუნდში მარჯვენა ნახევარმცველად. ვ. ელოშვილი ამ დღეს ცდკა-ს ცნობილ ფეხბურთელს ალექსეი ვოდიაგინს მეურვეობდა და გაუმკლავდა კიდეც აღიარებულ ოსტატს. ამბობენ, თამაშის შემდეგ ა. ჟორდანიამ შეაქო ნიჭიერი ფეხბურთელი, ხოლო ბ. პაიჭაძემ ხელი დაარტყა მხარზე და შეაქო: „ყოჩაღ, ბიჭო, აბა შენ იცი!..“

იმავე, 1946 წლის სეზონში ლოკომოტიველებს გაერო ბოგატელოს (მერე იგი ჩვენს „დინამოში“ თამაშობდა ცენტრალურ თავდამსხმელად), ძიუ ლომაიას (მოგვიანებით თბილისის „სპარტაკის“ კაპიტანი) და შურა ჯიბლაძის რეკომენდაციით ვ. ელოშვილი თბილისის „ლოკომოტივში“ ჩაირიცხა. მწვრთნელმა კონსტანტინე კრავჩენკომ ახალბედა მარჯვენა მცველად დააყენა — სწორედ იმ ადგილზე, სადაც სრულად გაიფურჩქნა ამ ნიჭიერი ოსტატის საფეხბურთო ტალანტი. ვ. ელოშვილმა სულ ორი წელიწადი ითამაშა „ლოკომოტივში“.

1948 წლის მიწურულს დინამოელთა უფროსმა შოთა შავგულიძემ, მწვრთნელებმა მიხეილ ბერძენიშვილმა და მიხაილ მინაევმა ვლადიმერ ელოშვილი თავიანთ გუნდში მიიწვიეს. დაცვის ხაზში იმხანად აქ არჩილ კიკნაძე, ნიაზ ძიაპშიპა, იბრაგიმ სარჯველაძე, დროდადრო კი გიორგი („მიხო“) ჭელიძე გამოდიოდნენ. ვ. ელოშვილმა მალე მარჯვენა მცველის ადგილი დაიმკვიდრა ძირითად შემადგენლობაში.

ბარე ხუთი წელიწადი გამოდიოდა დაცვის სამეული ამ შემადგენლობით (ელოშვილი, ძიაპშიპა, სარჯველაძე) და საუცხოოდ შეთამაშებული ხაზის სახელი დაიმკვიდრა. აკი ლეგენდარული ვსევოლოდ ბობროვი ამბობდა, რომ საბჭოთა ნაკრებს ოლიმპიურ ჰელსინკში მთლიანად თბილისელთა დაცვა უნდა წამოეყვანა, მაშინ ტამპერეში იუგოსლავიის ნაკრებთან რვა გოლს როგორ გავუშვებდითო! თუ გავიხსენებთ იმასაც, რომ ჩვენს კარში იმხანად დიდებული მეკარე ვლადიმერ მარღანია იდგა, ნათელი გახდება, თუ რატომ უჭირდა ასე მეტოქეთა თავდამსხმელებს თბილისელთა კარის აღება.

პირველი მატჩი დიდ ფეხბურთში ვ. ელოშვილმა 1949 წლის სეზონში ჩაატარა თბილისში ლენინგრადის „დინამოს“ წინააღმდეგ, ლეგენდარული პეკა დემენტიევი რომ ედგა სათავეში. 3:1 — ასეთი ანგარიშით გაიმარჯვეს ქართველმა ფეხბურთელებმა. გულშემატკივრებს მოეწონათ თბილისელთა მეორე ნომერი — ტექნიკური, სწრაფი, მოქნილი მოთამაშე, მშვენივრად რომ ართმევდა თავს თავდამსხმელთა პერსონალურ „მეურვეობას“ და თავადაც ხშირ-ხშირად გადადიოდა ეფექტურ იერიშებზე.

— პირველი გოლი ცდკა-ს მეკარის ვლადიმერ ნიკანოროვის კარში მოსკოვში, 1951 წელს გავიტანე: ავთო ჭკუასელმა საჯარიმოდან მომაწოდა ბურთი, წამით გავქექცი გაკვირვებულ მარცხენა გარემარბ ვლადიმერ დიომინს და ზუსტად გავიტანე საპასუხო, ამ მატჩში მეორე გოლი. შეხვე-

იხ. მე-5 გვ.

## რა ხდება ქვეყანაზე

● გაიმართა სოკ-ის საინსპექციო კომისიის სხდომა, რომელმაც განიხილა ნაგანოს (იაპონია) ზამთრის ოლიმპიადისათვის მზადების მიმდინარეობა. აღინიშნა, რომ ჰოკეის სტადიონის რეკონსტრუქციამ გამოიწვია ტრიბუნებზე ადგილების შემცირება 12-დან 10-ათასამდე, რაც ყოვლად დაუშვებელი თვითნებობაა მშენებლების მხრიდან. გაირკვა ისიც, რომ თამაშების პირვანდელი ბიუჯეტი — 40 მილიარდი იენი სანახევროდაც ვერ ფარავს დარჩენილ ხარჯებს, რომელმაც სადღეისოდ 75 მილიარდს გადააჭარბა. ექსპერტების აზრით, საბოლოოდ ოლიმპიადის ჩატარება 100 მილიარდი იენი (1 მილიარდი დოლარი) დაჯდება.

● მათ ყველას, ახლო კონტაქტი ჰქონდათ დიდოსტატ სემიონ ფურმანთან, რომლის 75 წლისთავისადმი მიძღვნილი ტურნირი დაიწყო სანკტ-პეტერბურგში. მონაწილეთა შორის არიან: მსოფლიოს მეშვიდე ჩემპიონი ვასილ სმისლოვი, მსოფლიოს მეხუთე ჩემპიონი სენიორთა შორის ევგენი ვასიუკოვი, აგრეთვე, დიდოსტატები ბუხუტი გურგენიძე, ვლადიმერ ბაგიროვი, იგორ ზაიცევი, მარკ ტაიმანოვი, ვიაჩესლავ ოსნოსი, ვლადიმერ სავონი, ირინა ლევიტინა და სხვ.

● „ავსტრალიის გრან-პრის“ წინ საკვალიფიკაციო რბოლის დროს მძიმედ დაშავდა 27 წლის ფინელი ავტომობილისტი „მაკლარენიდან“ მიკა ხაკინენი. სამი კვირა მან ადელაიდის ჰოსპიტალში გაატარა. ამ დღეებში კი სპეციალური თვითმფრინავით გააფრინეს შინ, მონაკოში. თვითმფრინავში დაზარალებულთან ერთად იყვნენ სპორტსმენის მეგობარი ქალი ერია ხონკანენი და ორი ავსტრალიელი ექიმი, რომელთა აზრით, გამოჯანმრთელება ნორმალურად მიმდინარეობს. საინტერესოა ერთი დეტალი: ხაკინენი აღმოჩნდა ერთ-ერთი პირველი პაციენტი, რომლის სისხლი ჟანგბადით გაამდიდრეს ახლებური მეთოდის გამოყენებით.

● ლილეჰამერში გაიმართა თხილამურებით ტრამპლინიდან მხტომელთა მსოფლიო თასის ეტაპი, რომელიც ფინელმა მიკა ლაიტინენმა მოიგო. მან ორი ნახტომის ჯამში (94,5 და 95,5) დააგროვა 254 ქულა. არი-პეკა ნიკოლა (ფინეთი) და მასაშიკო ხარადა (იაპონია) გამარჯვებულს შესაბამისად 6 და 8,5 ქულით ჩამორჩნენ.

● მძლეოსანთა ყველაზე პრესტიჟული ჯილდო — „ჯესი ოუენსის ტროფეი“ მეორედ ზედიზედ ამერიკელ სპრინტერს მაიკლ ჯონსონს მიანიჭეს. პრეტენდენტი, ცხადია, ბევრი იყო, მათ შორის ეიმ ბატენი, გვენ ტორენსი, დენ ო'ბრაიენი და სხვები, მაგრამ ჯონსონის უპირატესობა განაპირობა ფენომენალურმა, აქამდე მიუღწეველმა გამარჯვებამ (აშშ-სა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე) 200 და 400 მ. რბენაში. მაიკლ ჯონსონმა მიიღო 2370 ქულა. მეორე ადგილზე გასულმა ბატენმა კი მხოლოდ 1360. სხვათა შორის, ჯონსონამდე ამ საპატიო ჯილდოს ორჯერ ზედიზედ ფლობდა მხოლოდ ჯეკი ჯოინერ-კერსი — 1986 და 87 წლებში.

● ევროპის ჩემპიონის ოქროს მედალი მძლეოსნურ კროსში ვაჟთა შორის მოიგო პორტუგალიელმა პაულუ გუერამ. 9-კილომეტრიანი დისტანცია მან 26.40-ში დაფარა. გუნდური გამარჯვება ესპანელებს ხვდათ. ქალებში (დისტანცია 4,5 კმ) უძლიერესი იყო ანემარი სანდელი (ფინეთი) — 13.52. გუნდურ წარმატებას აქ რუსებმა მიაღწიეს.

● მოსკოვში გაიმართა დევისის თასის ფინალური მატჩი ჩოგბურთში რუსეთისა და აშშ-ს ნაკრებ გუნდებს შორის. პირველი დღის შემდეგ ანგარიში იყო 1:1 (პიტ სამპრასმა დაამარცხა ანდრეი ჩესნოკოვი, ევგენი კაფელნიკოვმა — ჯიმ კურიე). ბრძოლის ბედი, ფაქტობრივად, წყვილთა ორთაბრძოლამ გადაწყვიტა, რომელიც ამერიკელებმა მოიგეს (ტოდ მარტინმა და სამპრასმა აჯობეს კაფელნიკოვსა და ანდრეი ოლხოვსკის). მესამე დღეს სამპრასმა დაამარცხა კაფელნიკოვი და ანგარიში გახდა 3:1, რაც საბოლოო გამარჯვებას ნიშნავდა. რუსეთის ნაკრებს მეორე ქულა ჩესნოკოვმა მოუტანა, რომელმაც აჯობა კურიეს. მატჩი დამთავრდა 3:2 აშშ-ს ჩოგბურთელთა სასარგებლოდ.

● დამთავრდა ფრენბურთელ ვაჟთა მარათონული ტურნირი — მსოფლიო თასის გათამაშება. როგორც მოსალოდნელი იყო, საპატიო პრიზი ხვდა მსოფლიოში უდავოდ საუკეთესო და უძლიერეს ნაკრებს — იტალიის გუნდს, რომელმაც ყველა 11 შეხვედრა მოიგო. მეორე ადგილზე გავიდნენ ჰოლანდიელები, მესამეზე — ბრაზილიელები. გათამაშდა პირადი პრიზებიც: აბსოლუტურად საუკეთესო ფრენბურთელად აღიარებულია ანდრეა ჯანი (იტალია), საუკეთესო თავდამსხმელად — ბას ვან დე გოორი (ჰოლანდია), ბლოკზე საუკეთესო მოთამაშედ — ჯესონ ბელდენი (კანადა), საუკეთესო მომწოდებლად — ლოი ბელი (აშშ).

რა ხდება ქვეყანაზე

## წლის საუკეთესო სპორტსმენები, გუნდი • წარმოგიდგენთ კანდიდატებს

# ივანე გამხიტაშვილი

(პირველი გვერდიდან)

ჯერ მასთან წავაგე ფინალი.

● **რაშია მისი სიძლიერე?**

— ლაპავსკი საერთოდ გამორჩეული მოჭიდავეა, ბევრჯერ აქვს მოგებული ევროპისა და მსოფლიოს პირველობები, მსოფლიო თასი. ბოლო სამი წელია სტაბილურად ჭიდაობს, ძალზე ძლიერია ჩოქბჯენში, მუდამ მტკივნეული ილეთის ჩატარებაზეა გაფაციცებული.

● **ყველაზე მნიშვნელოვანი გამარჯვება თქვენს სპორტულ ბიოგრაფიაში...**

— ეს იყო აშშ-ში, 1989 წელს, მაშინ მსოფლიო ჩემპიონი გავხდი ჭაბუკებში. ყველა შეხვედრა მოვიგე. კიდევ იყო განსაკუთრებით დასამახსოვრებელი გამარჯვება — კიევში დაუმარცხებლად მოვიგე ევროპის პირველობა ახალგაზრდებში.

● **ალბათ გული გწყდებათ, რომ სამბო ოლიმპიური თამაშების პროგრამაში არ შედის, ბევრმა ხომ ძიუდო სწორედ ამიტომ აირჩია. თქვენც ხომ შეგეძლოთ ძიუდოში დაოსტატება?**

— ძიუდოშიც გამოვდიოდი. არაერთხელ ვიყავი საქართველოს ჩემპიონი ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში. საკავშირო პროფკავშირების პირველობაში III ადგილი დავიკავე. მაშინ გამოუცდელი ვიყავი, თანაც 2-3 წლით უფროსებს ვეჭიდავე.

● **რომ მოგეგოთ...**

— არ ვიცი, შეიძლება ძიუდოს გავყოლოდი.

● **ვინაა თქვენი იდეალი სპორტში?**

— სამბოში ჯემალ მჭედლიშვილი, საერთოდ კი ძიუდოისტი იამასიტო.

● **სპორტის რომელ სახეობას გულშემატკივრობთ?**

— პირველ ყოვლისა, ჭიდაობას, მიყვარს ფეხბურთი და კრივი.

● **მომავლის გეგმებზე რას გვეტყვით?**

— მეც და ბიჭებიც ვემზადებით ევროპისა და მსოფლიო პირველობისათვის, მსოფლიოს თასის გათამაშებისათვის. ეს შეჯიბრებები გაისად ჩატარდება. მთავარია, იყოს ფინანსური შესაძლებლობები.

ესაუბრა
ცოტნე ბაქრაძე.

# საქართველოს ეროვნული ნაკრები ფეხბურთში

(პირველი გვერდიდან)

თანამედროვე ფეხბურთის აღიარებული გრანდები (გერმანია და ბულგარეთი), რომელთა ავტორიტეტი და ოსტატობა პირწმინდად გამორიცხავდა ნებისმიერი სიურპრიზის შესაძლებლობას.

ახლა ბევრს საუბრობენ მოლდავეთის გუნდთან ჩვენს მიერ განცდილ ორ მარცხზე შინ და სტუმრად. მართლაც ალოგიკური გახლდათ ამ ორი მატჩის შედეგი, განსაკუთრებით კი თბილისში წაგებული ბრძოლისა (1994 წლის 7 სექტემბერს, შერჩევითი ციკლის პირველსავე მატჩში), მაგრამ საქმე ისაა, რომ ორთავე შეხვედრაში წარმატებაც კი, არსებითად, არაფერს შეცვლიდა ჯგუფში. ამიტომაც ვამბობთ გადაჭრით: მესამე ადგილი გერმანიისა და ბულგარეთის შემდეგ არა მარტო კანონზომიერული შედეგია, არამედ საპატიოც და გარკვეულწილად იმედის მომცემიც.

საქართველოს ნაკრებმა შესარჩევ ციკლში 10 კალენდარული შეხვედრა ჩაატარა, შარშან — ოთხი, წლეულს — ექვსი. მათი ქრონოლოგიური თანმიმდევრობა და ტექნიკური მონაცემები ასეთია:

7.09.1994. საქართველო — მოლდოვა 0:1. გოლი გაიტანა ოპრიამ.

12.10. 1994. ბულგარეთი — საქართველო 2:0. გოლები: კოსტადინოვი — 2.

16.11. 1994. საქართველო — უელსი 5:0. გოლები: ქეცბაია — 2, ქინქლაძე, გოგრიჭიანი, შ. არველაძე.

14.12.1994. ალბანეთი — საქართველო 0:1. გოლი: შ. არველაძე.

29.03.1995. საქართველო — გერმანია 0:2. გოლები: კლინსმანი — 2.

26.04.1995. საქართველო — ალბანეთი 2:0. გოლები: შ. არველაძე, ქეცბაია.

7.06.1995. უელსი — საქართველო 0:1. გოლი: ქინქლაძე.

6.09.1995. გერმანია — საქართველო 4:1. გოლები: მელერი, ციგე, კირსტენი, ბაბელი, ქეცბაია.

11.10.1995. საქართფველო — ბულგარეთი 2:1. გოლები: შ. არველაძე, ქინქლაძე, სტოიჩკოვი.

15.11.1995. მოლდოვა — საქართველო 3:2. გოლები: მიტერევი — 2, ტესტიმიცანუ, ჯანაშია და კულიბაბა — ავტოგოლი.

საქართველოს ფეხბურთელებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის 10 მატჩიდან ხუთი მოიგეს, ამდენივე დათმეს, დააგროვეს 15 ქულა, ბურთების დადებითი ბალანსით — 14:13. ეს 14 გატანილი გოლი ნაკრების მოთამაშეთა შორის ასეა განაწილებული:

შ. არველაძე — 4
ქეცბაია — 4
ქინქლაძე — 3
გოგრიჭიანი — 1
დ. ჯანაშია — 1

ერთი გოლი მოლდაველმა კულიბაბამ საკუთარ კარში გაიტანა.

ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ალექსანდრე ჩივაძემ 14 თვის მანძილზე გუნდის შემადგენლობაში ოცდაცხრა ფეხბურთელი გამოსცადა. ეს ერთის მხრივ შემადგენლობის არასტაბილურობაზე შეიძლება მეტყველებდეს. თუმცა, ამ მხრივ ჯგუფში არც სხვა გუნდებს ჰქონდათ უკეთ საქმე. მეტ-ნაკლებად სტაბილურად გამოიყურებოდა ბულგარელთა შემადგენლობა (21 ფეხბურთელი). გერმანიამ და მოლდაველთმა შერჩევითი ციკლის მატჩებში 25-25 ფეხბურთელი ათამაშეს. ალბანეთმა იმდენი, რამდენიც ჩვენ, უელსმა კი — 31. ყველაზე მეტად დატვირთულნი ჩვენს გუნდში ლეგიონერები — შოთა არველაძე და გიორგი ქინქლაძე იყვნენ. არველაძემ მოედანზე დაჰყო 866, ქინქლაძემ კი 810 წუთს.

• საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში გამოდიოდა ეროვნული ჩემპიონატის რვა მონაწილე. გუნდის დანარჩენი წევრები ლეგიონერები იყვნენ. მათგან რუსეთის კლუბებში თამაშობს 6 ფეხბურთელი, გერმანიაში — 5, კვიპროსში — 3, თურქეთსა და უკრაინაში 2-2, ინგლისში, საფრანგეთსა და საბერძნეთში თითო.

და კიდევ ერთი ასეთი ინფორმაცია. საქართველოს ნაკრების მატჩებს შინ დაესწრო 246 ათასი, სტუმრად კი 125.500 მაყურებელი, რამაც საერთო ჯამში 371.500 კაცი შეადგინა. ესეც ჯგუფში მესამე მაჩვენებელია ბულგარეთისა (479.550) და გერმანიის (425.800) შემდეგ.

# კვლავ რუსუდან ხოფერია და ანა დოლონაძე

**„ამ გოგონებმა მოხიბლეს ფრანგები და გაახარეს ქართული გულშემატკივრები“ — გვითხრა რედაქციაში ფეხის შემოდგმისთანავე საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ფედერაციის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა თომზარ ცომაიამ და იქვე წარმოგვიდგინა ბატუტზე მხტომელი ორი გოგონა — რუსუდან ხოფერია და ანა დოლონაძე, თუმცა, ჩვენთვის რა წარდგინება სჭირდებოდა მსოფლიოში სახელგანთქმულ სპორტსმენებს.**

თ. ცომაია: ეს შეჯიბრება — ევროპის XIV ჩემპიონატი, საფრანგეთის ქალაქ ანტიბში გაიმართა. მონაწილეობდა 18 ქვეყნის 100-ზე მეტი წარმომადგენელი. უმეტესობა, ცხადია — სრული გუნდით. ჩვენ კი მხოლოდ სამი გოგონა და ერთი ვაჟი გვყავდა. წინა წლებში ფავორიტები ვიყავით, მაგრამ ორი წელია არსად გამოვსულვართ და შეიმჩნეოდა, მაინცდამაინც ჩვენი დიდი შიში კონკურენტებს აღარ ჰქონდათ... მეტიც, გაუკვირდათ კიდეც რომ გვიხილეს.

● **როდის იგრძენით, რომ კვლავ ანგარიშგასაწევი კონკურენტები იყავით?**

ზაურ სულაშვილი — ნაკრების უფროსი მწვრთნელი: როგორც კი მოთელვაზე თვალი შევავლეთ მეტოქეებს, დავრწმუნდით, რომ მათ არაფრით ჩამოვრჩებოდით. მეტიც, რუსუდანისა და ანას სირთულის კოეფიციენტს, სინქრონულ ხტომებში, დღემდე ვერავინ მიახლოებია. ამან წარმატების რწმენა ჩაგვინერგა.

> **რუსუდან ხოფერია**
>
> დაიბადა 1972 წლის 9 სექტემბერს, თბილისში
> სპორტსაზოგადოება „მართვე“
> დაამთავრა სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტი
> სიმაღლე 164 სმ, წონა 51 კგ.
> მწვრთნელი — ზაურ მულაშვილი. ვარჯიში დაიწყო თენგიზ ხუდოევთან 1982 წელს.
> გათხოვილია, ჰყავს ერთი ვაჟი.
> მიღწევები: 1986 წელს გახდა სსრკ სპარტაკიადის ჩემპიონი, 1987 — ევროპის ჩემპიონი, 1988 — მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი (3 „ოქრო“), 1989 — ევროპის ჩემპიონი, 1990 — მსოფლიო ჩემპიონატი — II ადგილი. 1990-1992 წლებში ბავშვის შეძენის გამო არ ვარჯიშობდა, 1993 — ევროპის ჩემპიონატი — II ადგილი. მსოფლიო თასზე — I, 1995 — ევროპის ჩემპიონატის მეორე პრიზიორი.

● **რუსუდან, თავად რას გრძნობდი შეჯიბრების წინ?**

— არ დაგიმალავთ, ძალიან ვღელავდი.

● **რატომ? ალბათ, როგორც ჩვენი ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, მეტ პასუხისმგებლობას გრძნობდით...**

— ასეც იყო, მაგრამ მე საერთოდ ყველა შეჯიბრების წინ ვღელავ, ახლა მით უმეტეს, 2 წელია არსად გამოვსულვარ.

● **რით დაიწყეთ ასპარეზობა?**

— სინქრონული ხტომით, ანასთან ერთად.

● **ანა, თქვენ რა განწყობით ჩაებით შეჯიბრებაში?**

— ცხადია, იგივე მიზეზით მეც ძალიან განვიცდიდი, თანაც მე უფრო დიდი დროით ვიყავი სპორტს ჩამოშორებული — შვილი შემეძინა.

● **მოგვილოცავს...**

— გმადლობთ!

ზაურ სულაშვილი: ანამ მოკლე დროში მაინც მოახერხა სპორტული ფორმის აღდგენა.

● **შემდეგ როგორ წარიმართა ჩვენებისთვის ასპარეზობა?**

— ასეთ კონკურენციას არ ველოდით. მაგრამ ჩვენი გოგონების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ დონე შეინარჩუნეს, უკან ჩამოიტოვეს წინა ჩემპიონატის გამარჯვებული — უკრაინის წყვილი. საბოლოოდ მეორე საპრიზო ადგილზე დავრჩით.

● **ჩვენი გოგონები ხომ წინა ჩემპიონატშიც მეორე ადგილზე გავიდნენ...**

— დიახ, მაგრამ ახლანდელი წარმატება მით უფრო საამაყოა, რომ როგორც გითხარით, 2 წელია საქართველოს გარეთ არ გავსულვართ.

● **ჩვენმა ვაჟმა როგორღა იასპარეზა?**

თ. ცომაია: კახაბერ გობრონიძე აჭარიდანაა, პერსპექტიული ყმაწვილია. მადლობა აჭარის ხელმძღვანელობას, რომ კახაბერისთვის ხარჯები გაიღო, სხვაგვარად მას ჩემპიონატზე ვერ წავიყვანდით. მართალია, იგი საპრიზო ადგილზე არ გასულა, მაგრამ დიდი გამოცდილება მიიღო — პირველად იასპარეზა საერთაშორისო არენაზე.

● **გოგონები ვინ დააფინანსა?**

— სპორტის დეპარტამენტმა გაიღო სახსრები, მათ შორის ეკიპირებისათვის და, საერთოდ, დელეგაციისთვის. დაგვეხმარა აგრეთვე ქალაქის სპორტკომიტეტი და „თბილთამბაქო“.

● **გუნდურ ასპარეზობაში რომელი ადგილი დაიკავეთ?**

— მეშვიდე. ლია ბენდიაშვილი რომ ტრავმირებული არ ყოფილიყო და წაგვეყვანა, უკეთეს შედეგს მივაღწევდით.

● **მესამე გოგოზე არაფერი გითქვამთ...**

— ხათუნა ბენდიანიშვილი ყველაზე უმცროსი იყო, ჩემპიონატში ისიც პირველად ასპარეზობდა და 31-ე ადგილზე გავიდა.

● **მსაჯი თუ გახლდათ...**

— დებულების შესაბამისად წავიყვანეთ ერთი მსაჯი — ვალერი ჩხაბერიძე. სხვათა შორის, თუ მსაჯს არ წაიყვან, 2000 გერმანული მარკა ჯარიმაა. სამწუხაროდ, კენჭისყრით იგი ვაჟებთან სამსაჯოდ მოხვდა.

● **ხომ არაფერი თქმულა ოლიმპიურ პროგრამაში ბატუტის შეტანის შესახებ?**

თ. ცომაია: საერთაშორისო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ანდრე გიურ ბიულერმა გვითხრა, რომ საკითხი შეთანხმებულია სოკ-თან. ოღონდ ეს სახეობა უნდა შეუერთდეს ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციას. გაისად გაიმართება მსჯელობა შერწყმის თაობაზე. ერთი სიტყვით, არის დიდი იმედები, რომ 2000 წლის თამაშებში ბატუტისტებსაც ვიხილავთ სარბიელზე.

> **ანა დოლონაძე**
>
> დაიბადა 1973 წლის 15 თებერვალს მცხეთაში
> სპორტსაზოგადოება „მართვე“.
> დაამთავრა სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტი
> სიმაღლე 158 სმ, წონა 47 კგ.
> მწვრთნელი — ზაურ სულაშვილი, მასთანვე დაიწყო ვარჯიში 1983 წელს
> გათხოვილია, ჰყავს ერთი გოგონა.
> მიღწევები: 1987 წ — სსრ კავშირის თასი — II ადგილი, 1988 — ევროპის აბსოლუტური ჩემპიონი (გუნდთან) ახალგაზრდებში (3 „ოქრო“), 1991-1992 — შეჯიბრებებში არ გამოდიოდა, 1993 — ევროპის ჩემპიონატი — II ადგილი (ორჯერ), მსოფლიო თასი — I (სინქრონში) და II (ინდივიდუალურად), 1995 — ევროპის ჩემპიონატის მეორე პრიზიორი.

თუ შეიძლება აქვე გეტყვით: მაინის ფრანკფურტში ჩაფრენისას გავიგეთ, რომ გაფიცულან ფრანგი ტრანსპორტის მუშაკები. ამიტომ სამი დღე იქვე დავყავით. გერმანელი მეგობრების დახმარებით ის დღეები ვივარჯიშეთ და შემდეგ შეღავათიან ფასებში ავტობუსიც გამოგვიყვეს საფრანგეთში გასამგზავრებლად. ავტობუსი მთელი 5 დღე გველოდა და უკანვე ჩაგვიყვანა მაინის ფრანკფურტში. დიდი მადლობა გერმანელ მეგობრებს!

კიდევ ერთი: ბატუტის ქართული სკოლა წამყვან სკოლადაა მიჩნეული მსოფლიოში. არადა, ჩვენ აქ თანამედროვე ბატუტიც არ გაგვაჩნია, რის გამოც ხშირია ტრავმები. ახლა ყველგან დიდ ყურადღებას უთმობენ ბატუტზე ხტომას, როგორც პერსპექტიულ ოლიმპიურ სახეობას. ამიტომ მსოფლიოში ცნობილი ბატუტის ქართული სკოლის მატერიალური ბაზის განსამტკიცებლად მეტი მზრუნველობაა საჭირო.

# ნბა-ს ამბები

ნბა-ში ბოლო დროს გახშირდა დისციპლინარული კონფლიქტები, რომლებმაც უკანა პლანზე გადასწია ტექნიკური სანახაობა. სპეციალისტები ამას ხსნიან სიახლით, რომელიც წლეულს დამკვიდრდა ნბა-ში. მატჩს მოედანზე ორი არბიტრი ემსახურება. ევროპაში, კარგა ხანია, ლაპარაკობენ სამარბიტრიან კალათბურთზე. აი ნბა კი, მოულოდნელად ორმსაჯიან ვარიანტს დაუბრუნდა.

დისციპლინის დამრღვევთა როლში სულ უფრო ხშირად გამოდიან სუპერვარსკვლავები, რომლებიც მანამდე ჯენტლმენობით იყვნენ ცნობილი. ასე მაგალითად, ხაკიმ ოლაჯიუვონმა ბურთი ესროლა არბიტრს, რის გამოც, ბუნებრივია, დისკვალიფიკაცია დაიმსახურა, დევიდ რობინსონი კი ხელჩართულ ბრძოლაში ჩაება მოწინააღმდეგე გუნდის წევრებთან და ისიც გააძევეს თამაშიდან.

საგრძნობლად გახშირდა ტრავმების რაოდენობაც. ზოგჯერ ამის მიზეზია უხეში თამაში, ზოგ შემთხვევაში კი მოთამაშეებს ძველი ტრავმები გადმოჰყვათ ახალ სეზონში. ასეა თუ ისე, ოთხი და მეტი კალენდარული შეხვედრა გამოტოვეს: შაკილ ო'ნილმა, ჰორას გრანტმა (ორივე — „ორლანდო“), დენის როდმანმა („ჩიკაგო“), ჯო დუმარსმა („დეტროიტი“), ედი ჯონსმა („ლეიკერსი“), დერიკ კოულმენმა („ნიუ-ჯერსი“), კრის უებმა და მარკ პრაისმა (ორივე — „ვაშინგტონი“) ა.შ. და ა.შ.

## ყურადღება!

**„ლელოს“ რედაქცია თბილისში განთავსებულ სპორტულ ორგანიზაციებს აცნობებს, რომ ჩვენს გაზეთზე ხელმოწერა 1996 წლისათვის შეიძლება, აგრეთვე, უშუალოდ რედაქციაში (კოსტავას, 14. ტელ.: 99-56-14). რედაქცია თავად უზრუნველყოფს ამ ორგანიზაციებში და მათ თანამშრომლებთან გაზეთის ადგილზე მიტანას. ხელმოწერა ფორმდება 1996 წლისათვის სამი ან ექვსი თვით, როგორც გადარიცხვით, ისე ნაღდი ანგარიშსწორებით.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვის როგორ უყვარს ტაისონი?

პროფესიული კრივის პერიოდიკაში ყველაზე პრესტიჟულ და პოპულარულ გამოცემად ითვლება ამერიკული ჟურნალი „რინგი“. ამიტომ, ალბათ, მხოლოდ მას აქვს უფლება დასვას კითხვა: რა ადგილი უკავია ტაისონს მსოფლიო კრივის ისტორიაში და შემდეგ თავადვე უპასუხოს მას.



ტაისონი თავის ვილასთან, რომელიც მან ციხიდან გამოსვლისთანავე 3,7 მილიონ დოლარად შეიძინა.

80-იანი წლების მიწურულს, გაზეთების რეცენზიებით თუ ვიმსჯელებთ, ტაისონზე უკეთესი მოკრივე არ ყოფილა და არც უნდა ყოფილიყო. ვისაც არ ადარებენ მას, ავტორები მუდამ პოულობდნენ ისეთ კრიტერიუმს, რომლითაც ტაისონი მართლაც სჯობდა ოპონენტს. თუმცა ეს გასაკვირი არც უნდა იყოს: „ვარსკვლავების წარმოება“ ამერიკაში მუდამ უმაღლეს დონეზე იდგა. ტაისონის მაგალითზე კი თავის მტვრევა მაინც და მაინც საჭირო არც იყო — იგი მთელი თავით, თუ მეტით არა, სჯობდა თანამედროვეებს.

აქედან გამომდინარე, კრივის სპეციალისტთა ერთი ნაწილისთვის ტაისონი პროფესიული კრივის ეტალონია, ამ ზოგ ექსპერტს კი, იგი უძლიერესთა სიაშიც კი არ შეჰყავს. მათი აზრით პირველ ეშელონში უნდა იყვნენ: მოჰამედ ალი, ჯეკ ჯონსონი, ჯეკ დემპსი, ჯო ლუისი და როკი მარჩიანო. ტაისონისთვის კი განკუთვნილი აქვთ მეორე ეშელონი ლერი ჰოლმსთან, ჯო ფრეზერთან, ჯორჯ ფორმენთან, ჯიმ ჯეფერისთან და ჯიმ ტუნეისთან ერთად.

ამ და ტაისონთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე თავიანთ მოსაზრებას გამოთქვამენ პროფესიული კრივის სპეციალისტები: ჰენკ კაპლანი (კრივის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული მცოდნე), ედი ფატჩი (სახელგანთქმული მწვრთნელი) და ჯეკ ფისკე (ცნობილი სპეციალისტი, ჟურნალ „რინგის“ ერთ-ერთი კომპეტენტური ავტორი). მოვუსმინოთ მათ:

**ჰენკ კაპლანი:** „ნებისმიერი მოკრივის შეფასება უნდა მოხდეს ერთი კრიტერიუმით — რას აკეთებს, როგორ მოქმედებს რინგზე. ამ კრიტერიუმის მიხედვით დიდ ჩემპიონთა შორის პირველ ნომერ მოკრივედ მიმაჩნია მოჰამედ ალი, მერე სონი ლისტონი და მერე მაიკ ტაისონი. დავბრუნდეთ დროებით უკან და გავიხსენოთ ტაისონის ბრძოლები ბასტერ დაგლასთან დამარცხებამდე. სრულიადაც არ მაეჭვებს, რომ ტაისონი იყო დაცვითი სტილის ერთ-ერთი, თუ ერთადერთი არა, საუკეთესო წარმომადგენელი. შესაძლოა ამ განმარტებით ბევრი გავაკვირვო კიდეც, მაგრამ ჩემი სიტყვები არ მიმაქვს უკან. სანამ დაცვაზე გადაჰქონდა აქცენტი, ტაისონის მომრევი არავინ იყო. გაიხსენეთ, რომ ტონი ტაკერმა თორმეტი რაუნდის განმავლობაში მას მხოლოდ ერთი ნამდვილი დარტყმა მიაყენა. გარდა ამისა, ძნელია დაასახელოთ მეორე მოკრივე, რომელიც ასე სრულყოფილად ფლობდა ორთავე ხელს და რომელსაც ასეთი ძლიერი, პირდაპირ „დაუმორჩილებელი“ ნიკაპი ჰქონდა. მუდამ აღფრთოვანებული ვიყავი ჯო ლუისით. იგი დღემდე ჩემი უსაყვარლესი მოკრივე გახლავთ. მაგრამ მას ჰქონდა ერთი სუსტი ადგილი — ნიკაპი. აი ტაისონს კი ასეთი სუსტი ადგილი არა აქვს“.

**ედი ფატჩი.** „ვერავინ იტყვის, რომ კრივი არ ვიცი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გამოზრდილი მყავს 18 მსოფლიო ჩემპიონი, რომელთაგან ექვსი მძიმე წონის მოკრივეა (ფრეზერი, ნორტონი, ჰოლმსი, მაიკლ სპინქსი, ბერბიკი, ბოუ). ახალგაზრდობაში ჯო ლუისის სპარინგ-პარტნიორიც ვიყავი. ასე რომ ცოტა რამ მეც დამეჯერება.

ტაისონს, რა თქმა უნდა, ვაფასებ. იმიტომ, რომ აქვს განსაცვიფრებლად სწრაფი დარტყმები და დიდი ფიზიკური ძალა. ასეთი სწრაფი „ხელები“ მძიმე წონის მოკრივეთა შორის ჯო ლუისის შემდეგ არავის ჰქონია. მაგრამ ეს ხშირად არ იყო საკმარისი ტექნიკური წუნის კომპენსაციისათვის. ამიტომ ამ მოკრივეს პირველ ეშელონში ვერ დავაყენებ. პირველი ექვსი რაუნდის შემდეგ მისი კრივი ერთფეროვანი და მოსაწყენი ხდებოდა.

მისი საუკეთესო ოპონენტი, ჩემი აზრით, მაიკლ სპინქსი იყო. ტაისონს უდიდესს კიდევ იმიტომ ვერ ვუწოდებ, რომ მას არც შესაბამისი სიმაღლე და არც წონა აქვს. რინგზე დაბრუნებული ტაისონის წარმატება ბევრად იქნება დამოკიდებული მის მიერ შერჩეული მეტოქის შესაძლებლობებზე“.

**ჯეკ ფისკე.** „შეიძლება ტაისონი მართლაც მეორე ეშელონის ღირსია, მაგრამ უნდა მოგახსენოთ. რომ პირველსა და მეორე ეშელონს შორის მეტად დიდი სხვაობაა. ჩემი აზრით ტაისონს რთული პრობლემები ექნებოდა ლისტონთან და ადრეული პერიოდის ფორმენთან. როცა ტაისონის შესაძლებლობებზე ვსაუბრობთ, უნდა გვახსოვდეს მეტოქეთა რეიტინგები. მის გარშემო იშვიათად შეხვდებოდით რამდენიმე ღირსეულ ოპონენტს. ბასტერ დაგლასთან და რეიზორ რადოკთან შეხვედრებმა თვალნათლივ დაგვანახა, რომ იგი დიდი მოკრივე არ ყოფილა“.

პროფესიული კრივის ისტორიაში ტაისონი არ არის პირველი, ვისაც, ამა თუ იმ მიზეზის გამო, რინგზე დაბრუნება მოუხდა. სპეციალისტთა აზრით, დაბრუნებულთა შორის მხოლოდ რამდენიმემ შეძლო ადრინდელი რეპუტაციის შენარჩუნება. ესენი იყვნენ: რეი „შუგარ“ რობინსონი, ედერ ჯოფრი, მოჰამედ ალი, ჯორჯ ფორმენი და რეი „შუგარ“ ლეონარდი. ყველაზე დიდი ამ ხუთეულში, ბუნებრივია, არის ალი. ზოგი სპეციალისტი ტაისონისა და ალის დაბრუნებას ერთმანეთთან ადარებს და მათში მსგავსებას ხედავს, რაც არ უნდა იყოს სწორი. ალის კარიერა შეწყდა მისი ნიჭის ზენიტში, ტაისონს კი პიკი უკვე განვლილი ჰქონდა. და კიდევ, ალი კრივში დაბრუნდა როგორც ეროვნული გმირი, ტაისონი კი როგორც ყოფილი პატიმარი.

ახლა კი რამდენიმე მონაცემი რინგზე წარმატებით დაბრუნებულ მოკრივეთა შესახებ.

**რეი „შუგარ“ რობინსონი.** არ გამოდიოდა 2 წელიწადს, დაბრუნდა 33 წლისა და შემდეგ — 44 გამარჯვება, 16 წაგება, 4 ფრე.

**ედერ ჯოფრი.** არ გამოდიოდა 3 წელიწადს. დაბრუნდა 33 წლისა, 25 გამარჯვება, არც ერთი დამარცხება ან ფრე.

**მოჰამედ ალი.** არ გამოდიოდა 3 წელიწადს. დაბრუნდა 28 წლისა, 27 გამარჯვება, 5 დამარცხება.

**ჯორჯ ფორმენი.** არ გამოდიოდა 10 წელიწადს. დაბრუნდა 38 წლისა, 28 გამარჯვება, 2 დამარცხება.

**რეი „შუგარ“ ლეონარდი.** არ გამოდიოდა 3 წელიწადს. დაბრუნდა 30 წლისა, 3 გამარჯვება, ერთი დამარცხება, ერთი ფრე.

**მაიკ ტაისონი.** არ გამოდიოდა 4 წელიწადი. რინგზე დაბრუნდა 29 წლისა. ჯერჯერობით მოგებული აქვს ერთი შეხვედრა.

## პროფესიულ რინგზე

**საბოლოოდ** გადაწყდა, რომ მაიკ ტაისონისა და ბასტერ მათის-უმცროსის ორთაბრძოლა, რომელიც 4 ნოემბერს უნდა გამართულიყო, შედგება 16 დეკემბერს, ოღონდ არა ატლანტიკ-სიტიში, როგორც ადრე ვარაუდობდნენ, არამედ ფილადელფიაში. ატლანტიკ-სიტის კანდიდატურა ამოაგდო ნიუ-ჯერსის შტატის სპეციალურმა საკონტროლო კომისიამ, რომელიც კატეგორიულად უკაძალავს მისადმი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს ყოველგვარ კონტაქტს ტაისონის პრომოუტერ დონ კინგთან. ასე რომ, ფილადელფიის კანდიდატურა საბოლოოა და იგი, როგორც ირწმუნებიან, აღარ შეიცვლება.

**იმავე დღეს** ფილადელფიაში გაიმართება კიდევ სამი ბრძოლა. 69,9 კგ-ში მსოფლიო ჩემპიონი ვბს-ს ვერსიით, ამერიკელი ტერი ნორისი შეხვდება ასევე მსოფლიო ჩემპიონს, ოღონდ იბფ-ს ვერსიით პოლ ვეიდენს. ვბა-ს ჩემპიონი ამერიკელი კარლ დენიელსონი (იგივე წონა) უმასპინძლებს არგენტინელ ხულიო ვასკესს. ამერიკელი მძიმეწონოსანის ტონი ტაკერის მეტოქე კი იქნება ინგლისელი ჰენრი აკინუეიდი.

**წელს** მაისში მსოფლიოს ჩემპიონმა 59 კგ-ში (ვბს-ს ვერსიით), ამერიკელმა გაბრიელ რუელასმა ნოკაუტით მოუგო კოლუმბიელ ჯიმი გარსიას, რომელიც 13 დღე უგონოდ იყო და ბოლოს გარდაიცვალა. მას შემდეგ რუელასი 7 თვის განმავლობაში არ გამოსულა რინგზე. ამ დღეებში მას მოუხდა თავისი ტიტულის დაცვა ლას-ვეგასში განელ აზიამახ ნელსონთან. ჩემპიონმა ნოკაუტი მიიღო მეხუთე რაუნდში და ტიტული მეტოქეს გადაულოცა. ბრძოლის შემდეგ რუელასმა განაცხადა, რომ კრივს თავს ანებებს.

**მსოფლიოს** ჩემპიონი მძიმე წონაში, ბრიტანელი ლენოქს ლუისი აგრძელებს ჩივილს იმის გამო, რომ არ აძლევენ საშუალებას შეებრძოლოს თავის თანამემამულეს, მსოფლიოს ამჟამინდელ ჩემპიონს ფრენკ ბრუნოს და დაიბრუნოს დაკარგული ტიტული. ლუისი ამტკიცებს, რომ ბრუნოს უნდა შეხვდეს სწორედ ის და არა მაიკ ტაისონი, როგორც ეს ამ ორი მოკრივის პრომოუტერებმა გადაწყვიტეს. ლუისმა სასამართლოს პირველი რაუნდი ბრიტანეთში წააგო. ახლა იგი ჩივილს აშშ-ში აგრძელებს. საქმეს ამ დღეებში განიხილავს ამერიკის სასამართლო.

**ვბს-ს** ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის ტიტული 53,5 კგ-ში შეინარჩუნა ირლანდიელმა უეინ მაკალოგმა, რომელმაც მერვე რაუნდში ნოკაუტით მოუგო დანიელ ჯონ ბრენდელას.

**მსოფლიო** ჩემპიონობა შეინარჩუნა 47,6 კგ-ში (ვბა) 25 წლის ნიკარაგუელმა როსენდო ალვარესმაც. მან ქულებით სძლია 5 წლით უფროს ტაილანდელ ჩან პორპაოინის.

**ციურიხში** უნდა გამართულიყო მატჩი მსოფლიო ჩემპიონის ტიტულზე ვბა-ს ვერსიით 79,4 კგ-ში. ოქროს ქამრის მფლობელის ვირჯილ ჰილის (აშშ) მეტოქე იყო ადგილობრივი მოკრივე სტეფან ანგერნი. შეხვედრა არ შედგა იმის გამო, რომ სპონსორმა უკანასკნელ მომენტში უარი თქვა დაფინანსებაზე.

## პრეზიდენტს სიფრთხილე მართებს

2004 წლის ოლიმპიური თამაშების მოწყობის მსურველთა განაცხადების მიღება შეწყდება 1996 წლის 10 იანვარს. მაგრამ, როგორც ეტყობა, აწი არავინ გააგზავნის ოფიციალურ მოთხოვნას სოკის შტაბ-ბინაში მისი კანდიდატურის რეგისტრაციის მიზნით, ვინაიდან პრეტენდენტთა რაოდენობა ისედაც საკმარისია. თანაც ბევრ მათგანს მხარდაჭერის საკმაოდ რეალური შანსი გააჩნია. უკვე რეგისტრირებულია 10 ქალაქი: ბუენოს-აირესი, კეიპტაუნი, სტამბული, ლილი, რიო-დე-ჟანეირო, სან-ხუანი, სევილია, სტოკჰოლმი, სანკტ-პეტერბურგი და რომი.

კანდიდატების შერჩევა მოხდება 1997 წელს, მაგრამ მანამდე საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ჟიური მოახდენს განსაკუთრებით „უიმედო პრეტენდენტთა“ განთესვას იმ ანგარიშით, რომ არჩევნებისთვის შემორჩეს ოთხი-ხუთი კანდიდატი.

სოკის პრეზიდენტმა ხუან სამარანჩმა განაცხადა, რომ ყველაზე რეალურ და ძლიერ კანდიდატად რომი მიაჩნია. ეს თქვა მან მაშინვე, როცა გაიგო, რომ მარადიული ქალაქიც ჩაერთო საარჩევნო კამპანიაში. პრეზიდენტის განცხადებამ იტალიაში უჩვეულო აჟიოტაჟი გამოიწვია. პრესამ კი პრეზიდენტის პოზიცია გააკრიტიკა. ჟურნალისტთა აზრით, როცა დღის წესრიგში დგას ასეთი დელიკატური საკითხი, პრეზიდენტმა მეტი სიფრთხილე და თავდაჭერილობა უნდა გამოიჩინოსო.

## მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტები

რამდენიმე წლის წინ ვლადიმერ კრამნიკი (დაიბადა 1975 წლის 25 ივნისს) ერთ-ერთ ახალგაზრდა პერსპექტიულ მოჭადრაკედ ითვლებოდა, რომელთა მსგავსი მრავლადაა. 1992 წლის მანილის ოლიმპიადის წინ იგი გარი კასპაროვის კატეგორიული მოთხოვნით შეიყვანეს რუსეთის ნაკრებში, შედეგი კი პირდაპირ ფანტასტიკური იყო — ჭაბუკმა თითქმის ყველა პარტია მოიგო. ამის შემდეგ ტურნირი ტურნირს მოჰყვა და კრამნიკმა (იგი ტუაფსეში ცხოვრობს) მართლაც გასაოცარ შედეგებს მიაღწია: 1993 წლის ივლისში გამოქვეყნებულ მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკეთა „რეიტინგ ლისტში“ მესამე იყო ანატოლი კარპოვისა და ვიშვანათან ანანდის მერე. გარი კასპაროვმა, რომელსაც ზედმეტი ქება არ უყვარს, ისიც კი თქვა, რომ შემდგომ მატჩს სწორედ კრამნიკთან ითამაშებს.

გთავაზობთ ნაწყვეტებს ვლადიმერ კრამნიკის ინტერვიუდან, რომელიც გერმანულ ჟურნალ „როხადე ეუროპას“ ფურცლებზე გამოქვეყნდა:

● **მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკეთა „რეიტინგ-ლისტში“ ესოდენ მაღალი ადგილი გიკავიათ, ახლა რაღა მიზნები გაქვთ?**

— ასეთი მიღწევა, რა თქმა უნდა, მახარებს, მაგრამ ვიცი, რომ თამაში კიდევ უნდა გავაუმჯობესო, ამასთან, ელოს კოეფიციენტები სინამდვილეში ხომ მთელი 100 პროცენტით, მთელი სისრულით ვერ ასახავენ მოჭადრაკის ძალას.

● **ყოველ შემთხვევაში ეს კოეფიციენტები დიდად საყურადღებოა!**

— დიახ, ნამდვილად, მასზე უკეთესი ჯერჯერობით ვერავის გამოუგონია. მე მხოლოდ იმას ვისურვებდი, რომ ეს „რეიტინგ-ლისტი“ ყოველი მნიშვნელოვანი ტურნირის შემდეგ გამოქვეყნდეს, სწორედ ისე, როგორც ჩოგბურთშია. ჭადრაკში კი ეს სია წელიწადში მხოლოდ ორჯერ ქვეყნდება — 1 იანვარს და 1 ივლისს.

● **ასეთ ასაკში თვით კასპაროვსაც კი არა ჰქონია ესოდენ მაღალი ადგილი საჭადრაკო იერარქიაში.**

— დიახ, ასეა. ასეთი კოეფიციენტი, ახლა რომ მაქვს, მან მხოლოდ 20 წლისამ მოიპოვა. რა თქმა უნდა, მეტისმეტად არ უნდა გავთამამდე, ვიცი, რაოდენ მძიმე და სერიოზული მუშაობა მომელის.

● **რატომ გახდით მაინცდამაინც პროფესიონალი მოჭადრაკე?**

### ვლადიმერ კრამნიკი

— ეს ჯერ კიდევ ყმაწვილობისას გადავწყვიტე, როცა მოსწავლე ვიყავი, ვინაიდან ჭადრაკის თამაში დიდ სიხარულს მგვრიდა. მაგრამ ისიც უნდა ვთქვა, რომ ჩემი ცხოვრება მარტო ჭადრაკით არ იფარგლება, სხვა ამბებიც მაინტერესებს — მუსიკა, სპორტი, სიამოვნებით ვთამაშობ ფრენბურთსა და მაგიდის ჩოგბურთს (სიტყვამ მოიტანა და ვიტყვით, რომ კრამნიკი ყველაზე ტანმაღალი მოჭადრაკეა მსოფლიოში-195 სმ).

● **რას იტყოდით თქვენი საჭადრაკო სტილის შესახებ?**

— იგი, ასე ვთქვათ, სტრატეგიული და ტაქტიკური მინარევებისაგან შედგება და ამ მხრივ ჩემი სტილი რამდენადმე ბობი ფიშერისას ჰგავს. მისი პარტიები ძალზე საფუძვლიანად შევისწავლე.

ერთი სიტყვით, ასეთი ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, უკვე შეიძლება ლაპარაკი ვლადიმერ კრამნიკზე, როგორც მსოფლიო ჩემპიონობის მეტად სერიოზულ პრეტენდენტზე, თუმცა, ისიც უნდა გავარკვიოთ, რომელ მსოფლიო ჩემპიონობაზეა ლაპარაკი, ვის წინააღმდეგ აპირებს ახალგაზრდა დიდოსტატი გამოსვლას — კასპაროვის თუ კარპოვისა? ეს არჩევანი ჭაბუკს აუცილებლად უნდა გაეკეთებინა, მანაც იფიქრა, იფიქრა და აირჩია... ორივე!

ჩვენ არ ვიცით, რა მოხდება შემდეგ, მაგრამ ექსპერტის აზრით, ვლადიმერ კრამნიკი ის დიდოსტატია, რომელსაც შეუძლია ბოლო მოუღოს ჭადრაკში გამეფებულ ამ უსიამოვნო ორხელისუფლებიანობას და დაამარცხოს ორივე — კარპოვიც და კასპაროვიც.

გივი გამრეკელი

# უცხოეთის ფეხბურთის ამბები

## იურგენ კლინსმანი სამუზეუმო ექსპონატი

მადამ ტიუსოს განთქმულ ცვილის ფიგურების მუზეუმს ლონდონში ახალი ექსპონატი შეემატა — გერმანიის ფეხბურთელთა ნაკრების კაპიტანი იურგენ კლინსმანი.

შეგახსენებთ, რომ ქ-ნ ტიუსოს მუზეუმში გამოფენილია კაცობრიობის გამოჩენილ პიროვნებათა ფიგურები — იულიუს კეისარი, ნაპოლეონი, სტალინი, რუზველტი, ჩერჩილი, შექსპირი, რემბრანდტი, ბეთჰოვენი და სხვანი.

## ჯორჯ ვეა — აფრიკის საუკეთესო ფეხბურთელი

რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ იტალიის „მილანის“ თავდამსხმელი, ლიბერიელი ჯორჯ ვეა მიიჩნიეს აფრიკის 1995 წლის საუკეთესო ფეხბურთელად. ესაა აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციის ოფიციალური კონკურსი. ჯ. ვეამ 45 ხმა მიიღო და 15 ქულით გაუსწრო ჯარკეტ ნდორას (განა). მესამე ადგილზეა ფინიდი ჯორჯი (ნიგერია), მეოთხეზე — ენცონი იებოა (განა). მეხუთე ადგილზე თანაბარი მაჩვენებლებით გავიდნენ ნვანკვო კანუ (ნიგერია) და შარშანდელი ლაურეატი ამონიკე (ნიგერია).

## რომარიო ესპანეთში ბრუნდება

როგორც იტყობინებიან, 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი ბრაზილიელი რომარიო, რომელმაც ორი სეზონი ესპანეთის „ბარსელონაში“ გაატარა და მერე შინ დაბრუნდა, კვლავ აპირებს ამ ქვეყანაში გამგზავრებას. ბრაზილიის „ფლამენგოს“ ამ საქმეში მუშტრები არ აკლია, მაგრამ ყველაზე მეტ აქტიურობას იჩენენ „ბარსელონა“ და „სალამანკა“.

## ფეხბურთელები შიდსის წინააღმდეგ

საერთაშორისო ფეხბურთის საუკეთესო წარმომადგენლებმა თავიანთი ავტოგრაფები წააწერეს მაისურებზე, რომლებიც გაიყიდება საფრანგეთის მაღაზიებში. ეს ის ხალხია, ვინც იბრძვის XX საუკუნის საშინელი ავადმყოფობის შიდსის წინააღმდეგ. მათ შორის არიან მარადონა, რომარიო, ბარეზი, კანტონა, რ. ბაჯო და სხვანი.

შემოსავალი, რომელიც დაახლოებით ნახევარ მილიონამდე დოლარს ითვალისწინებს, მოხმარდება ლაბორატორიულ გამოკვლევებს და უშუალოდ დაავადებულებს.

## არა 172, არამედ 173

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ დაადგინა, რომ 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მონაწილეთაგან გაირიცხოს აფრიკის ქვეყანა — ნიგერიის ნაკრები. ამის გამო გუნდების საერთო რაოდენობა ერთით შემცირდა.

ამ მკაცრი სანქციის მიზეზი ისაა, რომ ნიგერიის სამხედრო ხელისუფლებამ პოლიტიკური მოტივით დაშალა და დაარბია თავისი ქვეყნის საფეხბურთო ფედერაცია.

სამაგიეროდ ფიფაში შემოვიდა ორი ახალი განაცხადი კუბისა და ბერმუდის კუნძულებისგან, რის შემდეგ მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეთა რაოდენობამ 173-ს მიაღწია.

## ჯორჯ ვეა — საუკეთესო?

ფრანგულმა ყოველთვიურმა ჟურნალმა „ონზ მონდიალმა“ მოაწყო მკითხველთა გამოკითხვა ევროპის 1995 წლის საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად. კონკურსში მონაწილეობდა 20 ათასი კაცი.

პირველ ადგილზეა იტალიის „მილანის“ თავდამსხმელი ჯორჯ ვეა, რომელმაც ხმათა 42,4 პროცენტი მიიღო, მეორე ადგილზე გახლავთ რობერტო ბაჯო („მილანი“) — 10,4 პროცენტი, მესამეზე — პაოლო მალდინი („მილანი“) — 8,3 პროცენტი.

გარდა ამისა, „ონზ მონდიალს“ სხვა საკონკურსო კითხვაც ჰქონდა: ბოლო 20 წლის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად საფრანგეთის ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა მიშელ პლატინიმ ხმათა 74 პროცენტი დააგროვა, მაშინ, როცა ჰოლანდიელმა მარკო ვან ბასტენმა და არგენტინელმა დიეგო მარადონამ შესაბამისად მიიღეს ხმების 10,4 და 4,8 პროცენტი.

...მაგრამ ყველაფერი ეს მხოლოდ „ონზ მონდიალის“ მკითხველთა აზრია.



1995 წლის 11 ივნისი. კიევი. უკრაინა — ხორვატია 1-0.

სურათზე: ევროპის ჩემპიონატის წინასწარი ეტაპის საუკეთესო ბომბარდირი დავორ შუკერი (მარჯვნივ) გვერდს უვლის უკრაინელთა მცველს გოლოვკოს (№4).

## დაერქვა: „საფრანგეთის სტადიონი“

ცნობილია, რომ პარიზის გარეუბან სენ-დენიში ჩქარი ტემპით აშენებენ გიგანტურ სტადიონს, სადაც უნდა გაიმართოს ფეხბურთში 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩი. საფრანგეთის სპორტის სამინისტრომ გამოაცხადა კონკურსი, თუ რა სახელი დაერქვას ახალ სტადიონს, შემოთავაზებულთა შორის იყო მიშელ პლატინის, პელეს, ჟიულ რიმეს, ჟიუსტ ფონტენის, გენერალ შარლ დე გოლის, ფრანსუა მიტერანის, ანტუან სენტ-ეკზიუპერის, ალბერ კამიუს, ჟიულ ვერნის, მძლეოსნობაში ოლიმპიური ჩემპიონის კოლეტ ბესონის და... ამჟამად პატიმრობაში მყოფი ბერნარ ტაპის სახელები.

იყო ასეთი განყენებული სახელებიც: „ძმობის სტადიონი“, „პარიზის სტადიონი“, უბრალოდ „სტადიონი“ და სხვა.

საბოლოოდ, როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ახალ ნაგებობას მიეკუთვნა „საფრანგეთის“ სტადიონის სახელი.

* * *

**მიუნხენის** „ბაიერნის“ პრეზიდენტმა ფრანც ბეკენბაუერმა განაცხადა, რომ ქალაქის ოლიმპიური სტადიონი, სადაც მისი კლუბი მასპინძლობს საერთაშორისო თუ შინაურ თამაშებს, 1997 წელს სარეკონსტრუქციოდ გადაეცემა. გადაკეთდება ტრიბუნები, სტადიონის ტერიტორიაზე მოეწყობა რესტორნები, ავტოსადგომები, სუვენირებით მოვაჭრე ჯიხურები და ა.შ. პროექტის თანახმად, 1972 წელს აგებული ეს სტადიონი XXI საუკუნის ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობად უნდა იქცეს. რეკონსტრუქცია დაახლოებით 100 მილიონი მარკა დაჯდება.

* * *

**ავტოკატასტროფაში** მოჰყვა ბრაზილიის ნაკრებისა და „ფლამენგოს“ ცნობილი ფეხბურთელი ედმუნდო. იგი სერიოზულად დაშავდა, ექსპერტების ცნობით ავარიის მიზეზი თვით ედმუნდო ყოფილა, რომელიც მთვრალი მართავდა მანქანას.

* * *

**წინასწარ** პატიმრობაშია კოლუმბიის ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი ხოსე ბელინი, რომელსაც ნარკომაფიასთან კავშირში ადანაშაულებენ.

## ახალციხესა და ბორჯომში...

თბილისის „დინამოს“ ვეტერანმა ფეხბურთელებმა, ამხანაგური შეხვედრები გამართეს ახალციხესა და ბორჯომში. მატჩების მიზანი იყო მატერიალური დახმარების გაწევა ავადმყოფ დინამოელებისათვის — სლავა მეტრეველისთვის, იბრაგიმ სარჯველაძისთვის, კონსტანტინე გაგნიძისთვის, ხანდაზმულ გაიოზ ჯეჯელავასთვის.

პირველი მატჩი ახალციხეში თბილისელმა ვეტერანებმა მოიგეს 3-2, მეორეში კი ბორჯომელ კოლეგებთან დამარცხდნენ 4-5.

დინამოელთა რიგებში გამოდიოდნენ: სერგო კოტრიკაძე, მიხაილ პირაევი, ბორის სიჭინავა, მურთაზ ხურცილავა, ვლადიმერ ელოშვილი, გივი ხოჭოლავა, ჯემალ ზეინკლიშვილი, რევაზ მახარაძე, ალექსი კოტრიკაძე, გურამ პეტრიაშვილი, ავთანდილ ხელაძე, არჩილ კილაძე, ბესარიონ მჭედლიშვილი, მიხეილ ჯოჯუა, ვლადიმერ ბარქაია, ლევან ნოდია, იური კურტანიძე. ვეტერანებს ასპარეზობისათვის ვ. ბარქაია ამზადებდა, გუნდის კაპიტანი მ. ჯოჯუა გახლდათ.

ოთარ ნიორაძე





# ის „საფეხბურთო ნოკაუტი“ სამხრეთ-აღმოსავლეთი ტრიბუნის წინ...

(მეორე გვერდიდან)

დრა მაინც წავაგეთ — 2:3.

ასეთივე მეტად მოხდენილი, მე ვიტყოდი, ორიგინალური მანერით გაიტანა ბურთი ვ. ელოშვილმა თბილისში მოსკოვის „ტორპედოს“ (1954 წელს) კარში, მინსკში ადგილობრივ „სპარტაკთან“ (1956 წ.) და ისევ თბილისში დონეცკის „შახტიორთან“ იმავე 1956 წელს. იმ დღეებში ანდრეი სტაროსტინმა ვ. ელოშვილს აცნობა, რომ გადაწყვეტილია მისი მიწვევა ქვეყნის ნაკრებში. სამწუხაროდ, ჩვენს ოსტატს არ გაუმართლდა: მოსკოვში, ხალხთა სპარტაკიადაზე, უკრაინის ნაკრებთან მატჩში კიეველ ვიქტორ ფომენკოსთან ბრძოლისას იგი მძიმედ დაშავდა და მელბურნის ოლიმპიადაზე ვერ გაემგზავრა. არადა, როგორც ცნობილია, საბჭოთა ნაკრებმა იქ ჩემპიონის ოქროს მედლები მოიპოვა.

— სხვათა შორის, კიეველებთან შეხვედრებში რატომღაც ბედი არ მწყალობდა — განაგრძობს ვ. ელოშვილი — გახსოვთ, ალბათ, 1954 წლის მატჩი თბილისში კიევის „დინამოსთან“. პირველი ტაიმი მთავრდებოდა. მე ამ დღეს მიხაილ კომანს „ვმეურვეობდი“. პირდაპირ გეტყვით, მცველებს არ უყვარდათ მის წინააღმდეგ თამაში — კომანი უხეში ფეხბურთელი იყო, ჩუმ-ჩუმად იცოდა მიპარება და მუჯლუგუნები. ასე მოხდა ამჯერადაც. სამხრეთ-აღმოსავლეთი ტრიბუნების წინ შევებრძოლეთ ერთმანეთს. კიეველმა მთელი გამეტებით ჩამცხო ფეხი მარჯვენა მუხლში. ტრუსი ხომ ჩამომახია, მაგრამ ამას ვინ ჩიოდა, სხეულის კანიც მიჰყვა შიპებს, სისხლმა გადმოჩქეფა ფეხიდან. წაქცევით არ წავქცეულვარ, მაგრამ... საერთოდ, მოგეხსენებათ, იმ დღეს ვერ შევიკავე თავი (ამასთან კომანს ისეთი ბოროტი, ჯალათური გამოხედვა შევამჩნიე) და მუშტი ვუთავაზე თავხედს. ეტყობა, ცოტა მაგრად მომივიდა, — კომანი ნოკაუტში ჩავარდა და ბალახზე გაიშხლართა. ამ დროს ჩვენმა გოგი ანთაძემ მოირბინა ჩემთან, სარმა გამომდო და მეც წამაქცია მინდორზე, ვითომ მეტოქეს ვყავდი „მოცელილი“. ცხადია, მსაჯმა ნიკოლაი ლატიშევმა შენიშნა ყოველივე და გამაძევა თამაშიდან, მაგრამ იქვე დაინახა ჩემი დასახიჩრებული, სისხლიანი ფეხი და... კომანსაც მიუთითა გასახდელისკენ. ხასიათი წამიხდა. არადა, იმ დღეს ჩვენ, ფეხბურთელები მართლაც გახარებულნი ვიყავით, რადგანაც დიდ ფეხბურთში შოთა იამანიძის წარმატებითი დებიუტი შედგა. შოთამ მარცხენა გარემარბად ითამაშა წინა მატჩში ტრავმირებული ავთო ჭკუასელის ნაცვლად.

ამით არ დამთავრებულა ყოველივე: გასახდელისაკენ გვირაბით (იყო ასეთი რომანტიული გვირაბი ჩვენს სტადიონზე, გახსოვთ, ალბათ?) მიმავალ ელოშვილს კომანიც გაჰყვა უკან. როგორც მოგვიანებით ანდრო ზაზროევი იგონებდა, იგი გამოეკიდა კიეველს და გააფრთხილა, სად მიდიხარ, დაგახრჩობს ელოშვილი მაგ „ტუნელშიო“! კომანს, ეტყობა, შეეშინდა და უკანვე დაბრუნდა, სათადარიგოთა სკამზე დაჯდა თანაგუნდელებთან. ვ. ელოშვილის საქციელის გამო უკრაინის სპორტკომიტეტი ჩივილს აპირებდა სასამართლოში, მაგრამ ისევ კიეველმა ფეხბურთელებმა და მათმა ყოფილმა მოთამაშემ და კაპიტანმა ზაზროევმა უშველეს საქმეს — თხოვეს უკრაინის სპორტის ხელმძღვანელებს არ გაემწვავებინათ საკითხი. ასეა თუ ისე, ვ. ელოშვილს მაინც არ ასცდა სასჯელი — მუდმივი დისკვალიფიკაცია გამოუტანეს. საბოლოოდ, მაინც ყველაფერი კეთილად დასრულდა: მოსკოვსა და ლენინგრადში ჩამოსულმა პოლონელმა ფეხბურთელებმა ითხოვეს თბილისის „დინამოსთან“ შეხვედრა. დაინიშნა კიდევაც მატჩი თბილისში. რამდენიმე დღით ადრე ჩვენი გუნდის უფროსმა ბორის პაიჭაძემ თხოვნით მიმართა ფეხბურთის საკავშირო ფედერაციას, სასჯელი მოეხსნათ ელოშვილისათვის, რადგანაც „დინამო“ ძალზე დასუსტებული იყო (სწორედ იმ დღეებში წავაგეთ მოსკოვში „ლოკომოტივთან“ ის „ისტორიული“ მატჩი — 2:9) და... საბჭოთა სპორტის ღირსებას ღირსეულად ვერ დაიცავდა! შეიტყვეს რა ეს, ფედერაციაში თანხმობა განაცხადეს, მხოლოდ იმ პირობით, თუ მოვიგებდით მატჩს (ასეც მოხდა — გავიმარჯვეთ 4:2), წინააღმდეგ შემთხვევაში გადაწყვეტილება ძალაში რჩებოდა. ასე უშველეს... პოლონელმა ფეხბურთელებმა ჩვენს ოსტატს.

ყველაფერს დასასრული აქვს, და სპორტის ოსტატმა (ეს წოდება მას 1950 წელს მიენიჭა) ვლადიმერ ელოშვილმა 1959 წლის სეზონში უკანასკნელად ჩაიცვა მშობლიური თბილისის „დინამოს“ თეთრ-ცისფერი მაისური, როდესაც თანაკლუბელებთან ერთად ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. მიუხედავად ა. ჟორდანიას თხოვნისა, 32 წლის ფეხბურთელის გადაწყვეტილება საბოლოო იყო, იგი ფეხბურთს დაემშვიდობა!

მომდევნო წელს ვ. ელოშვილი სათავეში ჩაუდგა თბილისის ახალგაზრდა ფეხბურთელთა სკოლის გუნდს, რომელსაც სხვადასხვა პერიოდში ავარჯიშებდნენ ანდრო ჟორდანია, გიორგი ანთაძე, ასირ გალპერინი. დღეს ჭარმაგი სპეციალისტი აქ გია ჩარკვიანთან, ჰამლეტ გერმანოზაშვილთან და სხვა მწვრთნელებთან ერთად მომავალ ოსტატებს უზრდის ქართულ ფეხბურთს. სსრკ და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, რესპუბლიკის ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკის ვლადიმერ ელოშვილის აღსაზრდელები ათჯერ გავიდნენ ჭაბუკთა საკავშირო ჩემპიონატის ფინალში — ორჯერ იყვნენ ოქროს მედლების, სამჯერ ვერცხლისა და ოთხჯერ ბრინჯაოს მედლების მფლობელნი. ფეხბურთის გულშემატკივრებს კარგად მოეხსენებათ ამ სკოლაში აღზრდილი საუკეთესო ოსტატები: ალექსანდრე ჩივაძე, ვლადიმერ გუცაევი, ძმები მანუჩარ და გოჩა მაჩაიძეები, ვახტანგ ჭელიძე, თეიმურაზ სტეფანია, დავით გოგია, კარლო მჭედლიძე, მალხაზ გაგოშიძე, ფირუზ კანთელაძე, ვახტანგ კოპალეიშვილი...

უკანასკნელ წლებში, რა დასამალია, სკოლას ძალზე უჭირს ჩვეული ნაყოფიერი მუშაობა და პროდუქციაც, მოგეხსენებათ, აღარ არის ძველებური ხარისხისა. გვინდა ვიფიქროთ, რომ ყოველივე ეს დროებითია და ვლადიმერ ელოშვილის, მის თანამოზიარეთა ტალანტი, შემართება და ფეხბურთისადმი უსაზღვრო სიყვარული კვლავ გამოიღებს ნაყოფს — ტყავის ბურთის ნიჭიერი ოსტატები ისევ დაიზრდებიან საფეხბურთო ალგეთს.

ოთარ ნოზაძე

## რა ხდება ქვეყნაზე

● **ლიტველი** კალათბურთელის არვიდას საბონისის აკლიმატიზაცია ნბა-ში წარმატებით მიმდინარეობს. მისი კლუბი „პორტლენდი“ აუტსაიდერთა რიგებიდან ნელ-ნელა უახლოვდება ლიდერებს („საკრამენტოსა“ და „სიეტლს“), რაშიც ლიტველი სწორედ საბონისის დამსახურება. ლიტველი კალათბურთელი დღეისათვის ლიდერია ლიგაში სამქულიანი სროლების რეალიზაციაში — 23 ტყორცნიდან 14, რაც 60,9 პროცენტს შეადგენს. გარდა ამისა, მას აღმოაჩნდა საუკეთესო შედეგი თამაშიდან გდებაში — 66,0 პროცენტი. საინტერესოა, რომ შარშან საუკეთესო შედეგი ამ ნომინაციაში კრის გეტლინგს ჰქონდა — 63,3 პროცენტი, შაკილ ო'ნილს კი 58,3. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ საბონისის მაჩვენებელი უნიკალურია ნბა-სათვის, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ 220 სმ სიმაღლის კალათბურთელი უმთავრესად ცენტრალური თავდამსხმელის ფუნქციებს ასრულებს.

● **მსოფლიოს №1** ჩოგბურთელის შტეფი გრაფის მამა პიტერი, რომელიც დაპატიმრებულია საგადასახადო სამსახურის განკარგულებით, მთელ პასუხისმგებლობას შვილის ფინანსურ პრობლემებზე იღებს თავის თავზე. რეიტერის სააგენტოს ცნობით, პროკურორი პეტერ ვეკსუნგი 57 წლის გრაფის გათავისუფლებას არ აპირებს. ყოველ შემთხვევაში ამის თაობაზე ჟურნალისტების რამდენიმე გზის დაჟინებულ შეკითხვებს უარყოფითად უპასუხა.

● **„ფრანს პრესის“** სააგენტოს ათენელი კორესპონდენტის ცნობით, „პანათინაიკოსის“ კალათბურთელთა კლუბის ლიდერს დომინიკ უილკინსს, რომელიც 13 წელიწადს წარმატებით გამოდიოდა ნბა-ში (იცავდა „ატლანტის“, „კლიპერსისა“ და „ბოსტონის“ ღირსებას) მძიმედ ავადმყოფი დედა ჰყავს ამერიკაში. კალათბურთელმა თხოვნით მიმართა კლუბის ხელმძღვანელობას რამდენიმე დღით გაეშვათ შინ დედის სანახავად და როგორც კი მიიღო თანხმობა, გაფრინდა შტატებში. საბერძნეთის კლუბი ევროპის ჩემპიონატის ერთ მატჩს ულიდეროდ ჩაატარებს.

● **ცურვის** საერთაშორისო ფედერაციამ მიიღო გადაწყვეტილება სასტიკი ბრძოლა გამოუცხადოს სადოპინგო ეთიკის ნორმებით დამრღვევ სპორტსმენებს. ამიერიდან დოპინგის მიღებაში პირველად შემჩნეული მოცურავე ორწლიანის ნაცვლად, ოთხწლიან დისკვალიფიკაციას მიიღებს. ამავე დროს უახლოესი ერთი წლის მანძილზე მის მიერ ნაჩვენები ყველა შედეგი გაუქმდება.

● **„ფორმულა-1“-ში** კონსტრუქტორთა თასის ახლანდელი მფლობელი „ბენეტონი“ მისამართს იცვლის: 1996 წლიდან იგი ინგლისურის ნაცვლად იტალიური ლიცენზიით იასპარეზებს.

არგენტინის მთავრობის გადაწყვეტილებით, 24 ივნისი საავტომობილო სპორტის დღედ გამოცხადდა. ასე აღნიშნავს მთელი არგენტინა „ფორმულა 1“-ის ხუთგზის ჩემპიონის ხუან-მანუელ ფანხიოს დაბადების დღეს. ეს ლეგენდარული პიროვნება წლეულს 17 ივლისს გარდაიცვალა 84 წლისა.

● **გაიმართა** ევროპის ერთ-ერთი პოპულარული საკალათბურთო ტურნირის კორაჩის თასის მატჩები. ორი ტურის შემდეგ დაწინაურდნენ: I ჯგუფში „სტეფანელი“ (იტალია) — 4 ქულა, II ჯგუფში „ეფეს პილსენი“ (თურქეთი) 4, III ჯგუფში „ფილოდორო„ (იტალია) — 4, IV ჯგუფში „სკავოლინი“ (იტალია) და „ვილერბანი“ (საფრანგეთი) — 4-4.

● **ბელგრადში** დამთავრდა სუპერტურნირი მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკეთა მონაწილეობით. პირველი-მეორე ადგილები გაიყვეს ბელარუსმა ბორის გელფანდმა და რუსეთის წარმომადგენელმა ვლადიმერ კრამნიკმა, რომლებმაც 8-8 ქულა დააგროვეს, მაგრამ კოეფიციენტის ცხრილით უპირატესობა გელფანდს მიეკუთვნა. უკრაინელ ივანჩუკს, რომელსაც 12 მონაწილეში ყველაზე მაღალი რეიტინგი აქვს, მხოლოდ მეექვსე ადგილი ხვდა.

● **ოლიმპიურ** ჩემპიონს შუბის ტყორცნაში, ინგლისელ ტესა სანდერსონს 1976 წლის შემდეგ არც ერთი ოლიმპიადა არ გაუცდენია. ორი წლის წინ მან თავი დაანება სპორტს, ახლა კი უკან დაბრუნებას აპირებს. თუ იგი მოხვდა დიდი ბრიტანეთის ნაკრებ გუნდში, ატლანტაში 40 წლისა იქნება. ამავე დროს, მას ექნება შანსი გახდეს პირველი ბრიტანელი — ექვსი ოლიმპიადის მონაწილე. თუ არა და, იგი დაუბრუნდება თავის ძირითად საქმიანობას — ტელევიზიას.

● **1990 წლის** ივნისში ფრანგმა იახტსმენმა სერჟ მადეკმა ატლანტის ოკეანე გადასერა სარეკორდოდ მოკლე დროში — 13 საათში, 3 წუთსა და 32 წამში. ახლა ამ რეკორდის გაუმჯობესება სცადა მეორე ფრანგმა იახტსმენმა ბრიუნო პეირონმა. მაგრამ როგორც სპეციალისტები ამბობენ, რეკორდს პირი არ შეიძლება უჩანდეს, ვინაიდან პეირონის იალქნიანი ნავი პირველსავე დღეს მოჰყვა საშინელ ქარიშხალში და დაიკარგა ძვირფასი დრო.

● **რუსეთის** ფრენბურთელთა ნაკრები გუნდის წევრი ვალერი გორიუშევი, რომელიც კარგა ხანია იტალიაში ცხოვრობს და ერთ-ერთ იქაურ კლუბში თამაშობს, მოსკოვში მცირე ხნით ყოფნისას ავტოავარიაში მოჰყვა. რუსეთის ტრავმატოლოგიურ კლინიკაში მას უხეიროდ გაუკეთეს ოპერაცია, რის შედეგადაც დაეწყო დაჩირქება. ავადმყოფი დაბრუნდა იტალიაში, სადაც იქაურმა ექიმებმა ფეხზე დააყენეს. ვალერი გორიუშევი შეუდგა წვრთნას.

● **რუსეთის** ალპინისტთა ერთმა ჯგუფმა გადაწყვიტა დაელაშქრა ღმერთების წმინდა ადგილსამყოფელი ოლიმპი, რომელიც ზღვის დონიდან 2917 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. ასვლაში მონაწილეობა მიიღო 21-მა გამოცდილმა მთამსვლელმა, მაგრამ დაამთავრა იგი თვრამეტმა. სამი ალპინისტი სხვადასხვა მიზეზით გამოეთიშა მოლაშქრეთა ჯგუფს. გადაწყდა, რომ გაისად ატლანტის ოლიმპიური თამაშების გახსნას დაამთხვიონ ინტერნაციონალური 100-კაციანი ლაშქრობა ოლიმპზე და იგი თანამედროვე ოლიმპიური თამაშების 100-წლიან იუბილეს მიუძღვნან.

რა ხდება ქვეყნაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ევროპის საკლუბო ტურნირები

გაიმართა ფეხბურთში ევროპის საკლუბო ტურნირების მორიგი შეხვედრები

ჩემპიონთა ლიგა

„A" ჯგუფი

„ნანტი" (საფრანგეთი) — „პანათინაიკოსი" (საბერძნეთი) 0-0

„ოლბორგი" (დანია) — „პორტუ" (პორტუგალია) 2-2

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „პანათინაიკოსი" | 6 | 3 | 2 | 1 | 7-3 | 11 |
| „ნანტი" | 6 | 2 | 3 | 1 | 8-6 | 9 |
| „პორტუ" | 6 | 1 | 4 | 1 | 6-5 | 7 |
| „ოლბორგი" | 6 | 1 | 1 | 4 | 5-12 | 4 |

„B" ჯგუფი

„ლეგია" (პოლონეთი) — „სპარტაკი" (რუსეთი, მოსკოვი) 0-1

„ბლეკბერნი" (ინგლისი) — „რუსენბორგი" (ნორვეგია) 4-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" | 6 | 6 | 0 | 0 | 15-4 | 18 |
| „ლეგია" | 6 | 2 | 1 | 3 | 5-8 | 7 |
| „რუსენბორგი" | 6 | 2 | 0 | 4 | 11-16 | 6 |
| „ბლეკბერნი" | 6 | 1 | 1 | 4 | 5-8 | 4 |

„C" ჯგუფი

„სტიაუა" (რუმინეთი) — „იუვენტუსი" (იტალია) 0-0

„დორტმუნდი" (გერმანია) — „გლაზგო რეინჯერსი" (შოტლანდია) 2-2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „იუვენტუსი" | 6 | 4 | 1 | 1 | 15-4 | 13 |
| „დორტმუნდი" | 6 | 2 | 3 | 1 | 8-8 | 9 |
| „სტიაუა" | 6 | 1 | 3 | 2 | 2-5 | 6 |
| „გლ. რეინჯერსი" | 6 | 0 | 3 | 3 | 6-14 | 3 |

„D" ჯგუფი

„აიაქსი" (ჰოლანდია) — „ფერენცვაროში" (უნგრეთი) 4-0

„გრასჰოპერსი" (შვეიცარია) — „რეალი" (მადრიდი, ესპანეთი) 0-2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „აიაქსი" | 6 | 5 | 1 | 0 | 15-1 | 16 |
| „რეალი" | 6 | 3 | 1 | 2 | 11-5 | 10 |
| „ფერენცვაროში" | 6 | 1 | 2 | 3 | 9-19 | 5 |
| „გრასჰოპერსი" | 6 | 0 | 2 | 4 | 3-13 | 2 |

გათამაშება წინასწარ ჯგუფებში დამთავრდა, I-II ადგილებზე გასული გუნდები ბრძოლას განაგრძობენ მეოთხედფინალში. აქ მეტოქეები ასე დაწყვილდნენ:

„ნანტი" — „სპარტაკი"
„ლეგია" — „პანათინაიკოსი"
„დორტმუნდი" — „აიაქსი"
„რეალი" — „იუვენტუსი".

უეფას თასი

გაიმართა უეფას თასის მერვედფინალის საპასუხო შეხვედრები:

„ვერდერი" (გერმანია) — „ეინდჰოვენი" (ჰოლანდია) 0-0 (პირველი მატჩი 1-2)
„ლიონი" (საფრანგეთი) — „ნოტინგემ ფორესტი" (ინგლისი) 0-0 (0-1)
„ბარსელონა" (ესპანეთი) — „სევილია" (ესპანეთი) 3-1 (1-1)
„ბენფიკა" (პორტუგალია) — „ბაიერნი" (გერმანია) 1-3 (1-4)
„რომა" (იტალია) — „ბრონდბიუ" (დანია) 3-1 (1-2)
„ბეტისი" (ესპანეთი) — „ბორდო" საფრანგეთი) 2-1 (0-2)
„სპარტა" (ჩეხეთი) — „მილანი" (იტალია) 0-0 (0-2)
„ლანსი" (საფრანგეთი) — „სლავია" (ჩეხეთი) 0-1 (0-0)

მეოთხედფინალში გავიდნენ „ეინდჰოვენი", „ნოტინგემ ფორესტი", „ბარსელონა", „ბაიერნი, „რომა", „ბორდო" „სლავია", „მილანი". მეტოქეები ასე დაწყვილდნენ:

„ბარსელონა" — „ეინდჰოვენი"
„სლავია" — „რომა"
„მილანი" — „ბორდო"
„ბაიერნი" — „ნოტინგემ ფორესტი"

თასების მფლობელთა თასი

მეოთხედფინალში 7 და 21 მარტს ერთმანეთს შეხვდებიან:

„დინამო" (მოსკოვი) — „რაპიდი" (ავსტრია)
„პარმა" (იტალია) — „პარი სენ-ჟერმენი" (საფრანგეთი)
„დეპორტივო" (ესპანეთი) — „სარაგოსა" (ესპანეთი)
„ბორუსია" (გერმანია) — ფეიენოორდი" (ჰოლანდია).

სამივე ტურნირის მეოთხედფინალური თამაშები გაიმართება გაისად, მარტში.

## კრიმინალური ქრონიკა

### მოიტაცეს მსოფლიო ჩემპიონი

კოლუმბიის მნიშვნელობით მეორე ქალაქ მედელინში, რომელსაც არცთუ უსაფუძვლოდ მსოფლიოს ნარკომაფიის ცენტრად თვლიან, ნოემბრის მიწურულს ბოროტმოქმედებმა მოიტაცეს მსოფლიოს ჩემპიონი ველოკროსში ბავშვებს შორის, 8 წლის ლუის-აუგუსტო კასტრო. ძალადობის აქტი მოხდა ჩრდილოეთის სადგურის მახლობლად, როცა ბავშვი კოლეჯისკენ მიემართებოდა.

პოლიციამ დანაშაული გახსნა ცხელ კვალზე და ბავშვი მშობლებს ჩააბარა. ამ ფაქტთან დაკავშირებით კოლუმბიის პრეზიდენტმა ერნესტო სამპერმა მოწოდებით მიმართა ყველა გამტაცებელს (მსგავსი ფაქტი კოლუმბიაში ყოველდღე ასობით ხდება) შობის დადგომამდე გაანთავისუფლონ ყველა მძევალი და ამით მოიხადონ ქრისტიანული ვალი გაუბედურებული მშობლების წინაშე.

## რა ხდება ქვეყანაზე

● ნოემბრის საუკეთესო კალათბურთელად ნბა-ში ანფერნი ჰარდუეი დაასახელეს. იგი, ამავე დროს, წინ იყო სნაიპერული მაჩვენებლებით — ყოველ მატჩში საშუალოდ 27 ქულა. შაკილ ო'ნილის გარეშე „ორლანდო მეჯიკმა" ნოემბერში გამართული 15 მატჩიდან 13 მოიგო. ესეც საუკეთესო მაჩვენებელია.

● ავსტრალიის ჩოგბურთელთა ღია ჩემპიონატში, რომლითაც იხსნება ყოველწლიურად „დიდი სლემის" სერია, მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიოს ყველა უძლიერესი მოთამაშეები, მათ შორის: პიტ სამპრასი, ანდრე აგასი, შტეფი გრაფი და მონიკა სელეში. ეს უკანასკნელი ჯერ ავსტრალიის ჩემპიონატისწინა შეჯიბრებაში იასპარეზებს (8-14 იანვარი), მეორე დღეს კი მთავარ ტურნირში ჩაებმევა.

● იტალიის ველოსპორტის ფედერაციის განცხადებით, ტურინი მზადაა უმასპინძლოს მსოფლიოს 1997 წლის ჩემპიონატს საგზატკეცილო რბოლებში. ამ ღონისძიებას მხარს უჭერს რეგიონალური მთავრობის პრეზიდენტი ენცო გიგი. შეჯიბრება მიესადაგება „ფიატის" კონცერნის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმს. სწორედ ამ დღეებში გაიხსნება ტურინის ველოსპორტის მუზეუმიც, რომელსაც ლეგენდარული იტალიელი ველოსიპედისტის ფაუსტო კოპის სახელი მიენიჭება.

● გერმანიის საგადასახადო პოლიციამ ბორის ბეკერის ფინანსური მრჩევლის აქსელ მეიერ ვალდენის ოფისში მოაწყო ჩხრეკა. ამოიღეს დოკუმენტები, რომლებიც ეხება ყველაზე ფულიანი ტურნირის — „დიდი სლემის თასის" (საპრიზო ფონდი 6 მილიონი დოლარი) ფინანსურ საკითხებს.

● გერმანიაში ჩატარდა ექსპრეს-გამოკითხვა, რომლის მიზანი იყო გაერკვია ქვეყნის უძლიერეს სპორტსმენთა რეფერენდუმის წინ ფავორიტთა შანსები. გამოკითხვის ორგანიზატორი იყო ტელევიზიის პირველი პროგრამა და ამიტომაც მასში მონაწილეობდა 700 ათასზე მეტი ტელემაყურებელი. ვაჟთა შორის პირველი ადგილი დიდი უპირატესობით დაიკავა მსოფლიო ჩემპიონმა „ფორმულა 1"-ში მიჰაელ შუმახერმა. მეორე შედეგი ჰქონდა პროფესიონალ მოკრივეს ჰენრი მასკეს. ქალებში გამოკითხულებმა უპირატესობა მიანიჭეს მოციგურე გუნდე ნიმანს, მეორე ნომრად კი სამთო-მოთხილამურე კატია ზაიცინგერი დაასახელეს. გუნდებში ყველაზე მეტი ხმა დორტმუნდის „ბორუსიის" ფეხბურთელთა კლუბმა მიიღო.

● საფრანგეთის ტრანსპორტის მუშაკთა საყოველთაო გაფიცვის გამო მონტე-კარლოში გაურკვეველი ვადით გადაიდო 1995 წლის ავტოშეჯიბრებებში გამარჯვებულთა დასაჯილდოებელი, საზეიმო გალა-ცერემონიალი.

● იტალიის ფრენბურთელ ვაჟთა ნაკრებმა ვადამდე გაინაღდა ადგილი ატლანტის ოლიმპიური თამაშების ფინალისტთა შორის. ეს ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც ამ ქვეყნის წარმომადგენლებმა მსოფლიო თასის ცხრა შეხვედრიდან ყველა მოიგეს.

● მელბურნში 21 წლის ავსტრალიელმა ჰოკით მხტომელმა ემა ჯორჯმა მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა მძლეოსნობის ამ სახეობაში — 4 მ. 25 სმ. შეგახსენებთ, რომ მარტო წლეულს ქალებმა, ჰოკით ხტომაში 16-ჯერ გააუმჯობესეს მსოფლიოს მიღწევა, მათ შორის, ათჯერ ჩეხმა დანიელა ბარტოვამ. საინტერესოა, რომ ახალმა რეკორდსმენმა ხტომა ერთი წლის წინ დაიწყო. ქალთა ჰოკით ხტომა ჯერჯერობით არაა ოლიმპიური დისციპლინა, მაგრამ ჯორჯს იმედი აქვს, რომ 2000 წლისთვის იგი ოლიმპიური ოჯახის სრულუფლებიანი წარმომადგენელი გახდება.

● 2006 წლის თეთრი ოლიმპიადის მასპინძლობის სურვილი ორმა შვეიცარიულმა ქალაქმა — სიონმა და ინტერლაკენმა გამოთქვა. ორი განაცხადი უკვე დევს შვეიცარიის ოლიმპიური კომიტეტის შეფის მაგიდაზე. რომელ ქალაქს მიენიჭება უპირატესობა, ამას გაარკვევენ ეოკის წევრები მომავალი წლის 27 აპრილს. სიონმა ერთხელ უკვე წამოაყენა თავისი კანდიდატურა (2002 წლის ოლიმპიადის მოწყობაზე), მაგრამ მარცხი განიცადა ამერიკის სოლტ-ლეიკ-სიტისთან. შვეიცარია ორჯერ იყო თეთრი ოლიმპიადის მასპინძელი (1928 და 1948 წლები, სანკტ-მორიცი) ასე რომ, გამოცდილება მას არ აკლია.

## რა ხდება ქვეყანაზე



ბრძოლა სქამისათვის!

საჭადრაკო ამოცანა



შამათი 2 სვლაში

## ილია ჩხარტიშვილი



ვისაც პიროვნება — აღმზრდელი ეთქმის, ვინც ნათელ კვალს ტოვებს ერის სპორტის ისტორიაში, ის ყოველთვის უტოლდება საამაყო მამულიშვილებს. აი, ასეთი კაცი დაკარგა ჩვენმა სპორტულმა მოძრაობამ — დამსახურებული მწვრთნელი თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, საქართველოს ფიზიკური კულტურის და სპორტის დამსახურებული მუშაკი — ილია ჩხარტიშვილი.

დაიბადა **1929** წლის **1** იანვარს ოზურგეთის რაიონის სოფელ ჯუმათში. ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ (**1953**) ერთდროულად მუშაობას იწყებს თბილისის **26**-ე ქალთა საშუალო სკოლაში, აგრეთვე მწვრთნელად თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. დიდხანს იყო „კოლმეურნის" უფროს მწვრთნელად, მისი ხელმძღვანელობით ამ სპორტსაზოგადოების ნაკრებმა არაერთხელ მოიპოვა წარმატება რესპუბლიკურ და საკავშირო ასპარეზობებში.

**1966-1974** წლებში საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი და სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელია, სადაც თავისი წვლილი შეიტანა მსოფლიო, ევროპის და ოლიმპიურ თამაშებში მიღწეულ წარმატებებში. მან აღზარდა სახელგანთქმული ფალავნები: რ. რურუა, თ. ყაზარაშვილი, ძმები ნ. და ა. ხოხაშვილები, ა. ცხოვრებოვი, რ. დობორჯგინიძე, მ. ჩიბურდანიძე, ჯ. მეგრელიშვილი, ვ. ბლაგიძე...

**1973** წელს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში საქართველოს ნაკრებმა ი. ჩხარტიშვილის ხელმძღვანელობით მოიგო სსრ კავშირის თასი, რაც პირველი შემთხვევა იყო ამ სახეობაში ჩვენი რესპუბლიკის ისტორიაში.

შესანიშნავი პიროვნების, რჩეულ ფალავანთა მთელი თაობების ნიჭიერი აღმზრდელის, საუკეთესო ადამიანური თვისებებით დაჯილდოებული კაცის — ილია ჩხარტიშვილის ხსოვნა არასოდეს წაიშლება ჩვენს გულებში, დავიწყება არც მის ღვაწლს უწერია.

საქართველოს სპორტის დეპარტამენტი;
საქართველოს ჭიდაობის ფედერაცია.

გაზეთ „ლელოს" რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს გაზეთის საკუთარ კორესპონდენტს აჭარაში დავით ბარამიძეს დის

ელზა ბარამიძის

ტრაგიკულად დაღუპვის გამო

ფოთის კრივის ფედერაცია და ვეტერანი მოკრივეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ფოთის კრივის ფედერაციის ყოფილი თავმჯდომარე

ავთანდილ (ტუტუა) გერსამია

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

## კროსვორდი



თარაზულად: 5. წმინდა მოგება კრივში, 7. ორთაბრძოლის სახეობა, 8. გერმანელი თანამედროვე ფეხბურთელი, 11. შესაძლებლობა, მოხერხებულობა, სიმარჯვე, შნო, 12. შედეგი ჭადრაკში, 13. საცხენოსნო-სპორტული ოლიმპიური კომპლექსი მოსკოვში, 16. ავსტრიის საფეხბურთო კლუბი, 17. მოცურავე (აშშ) ოლიმპიური ჩემპიონი (1964), 21. ფიზიკური ვარჯიშის ელემენტი. 22. ცნობილი ჩოგბურთელი (აშშ), 23. ცნობილი მოჭადრაკე და ჟურნალისტი, 26. ტანვარჯიშული ზამბარიანი სავარჯიშო, 27. ცნობილი ფრანგი ფეხბურთელი, 28. ნორვეგიის საფეხბურთო კლუბი.

შვეულად: 1. პროფესიონალი მოკრივე მძიმე წონაში, 2. ცურვის ყაიდა ანუ... 3. სანიჩბოსნო ბაზის ადგილი საქართველოში, 4. იუგოსლავიის საფეხბურთო კლუბი, ბათუმის „დინამოს" ყოფილი მეტოქე, 6. წარსულში ცნობილი ქართველი ფეხბურთელი, 9. სპორტის ზოგიერთ სახეობაში საასპარეზო ბაქანი, 10. ინგლისის ცნობილი საფეხბურთო კლუბი, 14. ცნობილი ქართველი ფეხბურთელი და მწვრთნელი, 15. ცნობილი ფალავანი (აშშ) თავისუფალ ჭიდაობაში, რამდენჯერმე უასპარეზია თბილისში, 18. ცხენით ბურთის გუნდური თამაში უცხოეთში, 19. კრივში დროის მონაკვეთი, 20. ველოსპორტში რბოლის შესავალი ნაწილი, 24. ლატარიის გათამაშებაში მონაწილეთა მიერ თანაბრად გაღებული თანხა, 25. ცნობილი რუმინელი ხელბურთელი, მსოფლიო ორგზის ჩემპიონი, ოლიმპიური თამაშების პრიზიორი (1972).

„ლელოს" 46-ე ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 4. მცველი, 6. ხანტეი, 9. თანრიგი, 11. კისრული, 12. „არარატი", 14. ხაუგი, 16. ისარი, 19. ნარდი, 21. ალტაი, 22. რიო, 23. აბალაკოვი, 24. ტაო, 27. ვშოლა, 29. „გურია", 30. ბერია, 31. „ლეგია", 33. უკრაინა, 35. ქეცბაია, 36. „როსუნდი", 37. იაგანი, 38. სტადია.

შვეულად: 1. ილეთი, 2. სპორტი, 3. ვანია, 5. ციურიხი, 7. ენერგია, 8. ლიდერი, 10. სტარტი, 13. ანდიევი, 15. გარბენი, 17. სახვაძე, 18. ჰიმალაი, 20 აგასი, 25 ბონეკი, 26 „გრუზია", 28. აბრამია, 29. გამბიტი, 32. ბრუსლი, 34. არენა, 35. ქისტი.

## ყურადღება!

შპს „გუმათე" ასრულებს საწარმოთა რეგისტრაციას უმოკლეს ვადებში. მისამართი: „ლელოს" რედაქცია, ტელ.: 99-56-14.

მთავარი რედაქტორი: თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380096, მ.კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გ. სიმონიშვილი. შემსრულებლები: ქ. შოშიტაშვილი, ნ. რამიშვილი, მ. წოწორია